



La Géorgie

Indépendante

Revue mensuelle

JANVIER

1938 — № 142

ს ი ნ ვ ა რ ი
1938 წ.
№ 142

დავით აღმაშენებლის საქართველოს

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი პ ა რ ტ ი ე ბ ი ს ო რ გ ა ნ ო .

შ ი ნ ა ა რ ს ი :

მეთაური—პროვოკაცია თუ ნაცარქეჩობა?
სან. მან.—დახვრეტა გრძელდება.
გ. გვაზავა—ვინ გასცა საქართველოს მიწა-წყალი?!
რ. ინგილო—უმართებულობა.
X.—სიმართლის აღსადგენად.
მ.—მე—ილია.

სიმონ მდინის დასაფლავება.
წლიური მიმოხილვა.
რუსთაველის დღეები უცხოეთში.
არმან კარმანიოლა.
ლიტერატურული პრემია.
წერილი რედაქციის მიმართ. და სხვ.

პ რ ო ვ ო კ ა ც ი ა თ უ ნ ა ც ა რ ქ ე ჩ ი ო ბ ა ?

ჩვენს წინაშე დევს ბამატის «კავკაზი» ხუთ ენაზე: რუსულზე, ქართულზე, ფრანგულზე, გერმანულზე და ინგლისურზე. არა გვაქვს ერთი სხვა—თურქულზე. უნდა ითქვას, ეს ერთგვარი რეკორდია მრავალენიანობის მხრით, და გამომცემელს, ისე როგორც მის თანამშრომელს, შეეძლოთ ერთგვარი პროპაგანდა გაეწიათ კავკასიის საქმისათვის ექვს ენაზე მოლაპარაკე ქვეყნებში. მაგრამ ეგ როდი იყო და არის მათი მთავარი მიზანი. მკითხველი არა ერთხელ გასცნობია აქვე, თუ სხვა ქართულ გამოცემებში, მათ «მოღვაწეობას», და 4 დეკემბერს ხომ ქართველმა ემიგრაციამაც დასდო მას ღირსეული მსჯავრი.

ჩვენ არ გვსურს, რასაკვირველია, ერთისა და იმავეს განმეორებით თავი მოვაბეზროთ მკითხველს—განა პოლიგლოტი «კავკაზი» ისედაც არ აბეზრებს მას თავს—, აღვნიშნავთ მხოლოდ ზოგიერთ რამეს, რომელსაც, ღირს, ერთხელ კიდევ დააკვირდეს ის.

დავიწყოთ იქიდან, რომ გერმანულ და ინგლისურ გამოცემას რედაქციამ წაუშმდვარა ცალკე წერილი, სათაურით «ჩვენი მიზნები», რომელშიც ბევრია, რა თქმა უნდა, მაღალ-სართულიანი ფრანგები კავკასიის ერთა განმათავისუფლებელ ბრძოლებზე, მათ მისწრაფებაზე დამოუკიდებლობა-კონფედერაციისადმი. მაგრამ მთავარი საზრუნავი იგივე დარჩენილა რედაქციისათვის, რასაც, დიდი ხანია, შეგ-

ვაჩვია რუსულმა «კავკაზმა»: დაუნარებელი ლანძღვა-თრევა საქართველოს ეროვნულ პარტიების, პირველ რიგში, სოციალდემოკრატიის.

«ჩვენთვის შეუძლებელია—გკითხულობთ სარედაქციო წერილში—ნდობით მოგვეპყრათ იმ პარტიების პატრიოტიზმსა და პოლიტიკურ კეთილსინდისიანობას, რომელნიც საიდუმლოდ დაარსებულან რუსეთის რევოლუციის წინ და ინტერნაციონალიზმის დროშის ქვეშ კლასთა ბრძოლას ქადაგებენ, როგორც სოციალურ ამშენებლობის საშუალებას». ჩვენ მოგვაქვს ეს ამონაწერი ინგლისური გამოცემიდან, იმასვე ვხედავთ გერმანულ გამოცემაშიც, მაგრამ ამ უკანასკნელში ბამატს საჭიროდ დაუნახავს თავის ხელმოწერით ცალკე განაცხადებია, სარედაქციო წერილის წინ, რომ ის «დაუღალავ ბრძოლას ეწევა ყველა დამშლელ და ანტიეროვნულ ძალთა წინააღმდეგ, რომელნიც ინტერნაციონალიზმის და მარქსიზმის, ბოლშევიკების და მენშევიკების სახით გვევლინებიან».

აქედან ცხადია, რომელი პარტია ჰყავს ბამატს აქ უპირველესად ნიშანში ამოღებული: ქართველი სოციალდემოკრატია; ასე ცხადად არაა დასახელებული სხვა პარტიები, რომელნიც «რევოლიუციის წინ დაარსებულან საიდუმლოდ», მაგრამ ისიც კარგი, რომ მისი რედაქცია ეხლა საჯაროდ აღიარებს, რომ «კავკაზის» მართლაც «ანტიეროვნულ» მუშაობას კავკასიის სხვა პარტიებიც უარყოფითით უც-

ქერენ. რაც შეეხება ბოლშევიკების და ქართველ სოციალდემოკრატების ერთ დაფაზე დასმას, ეს მართლა რეკორდია მისი «კეთილსინდისიანობის». მთელმა კაცობრიობამ უწყის (გარდა ბამატისა), რომ საქართველოს ყველა პარტია და მათ შორის სოც.-დემოკრატია ათასობით სწირავს თავს ბოლშევიკებთან ბრძოლებში. ჩვენ ვშიშობთ, რომ მის გერმანელ მკითხველმა, თუ ასეთნი მოიპოვებიან, დანაშაულად არ ჩაუთვალოს მას მისი «დაულაღვი ბრძოლა» ანტიბოლშევიკური ძალების წინააღმდეგ.

მაგრამ ბამატის მიერ საქართველოს მთავრობის და ყველა ეროვნულ მებრძოლ ძალების გაბიაბრუება და დასმენა მართლ ევროპული ქვეყნებით არ ამოიწურება; ის ჩვენს მეზობელ თურქეთსაც არწმუნებს ხსენებული ძალების თურქეთისადმი უნდობლობა-მტრობაში. ამით დაიწყო მან თავისი «მოღვაწეობა» და «კავკასიის» იანვრის ნომერში «უხალისოდა და ფრიად უხალისოდ უბრუნდება ის ამ უმადურ თემას», როგორც თვითონვე აცხადებს. აი, როგორ ათავენ ის თავის წერილს: «ისინი, ვინც კავკასიის ერებს თურქეთთან და ირანთან შეურიგებლობაზე აქეზებენ, ერთნი შეგნებულად, მეორენი — შეუგნებლად, კავკასიის ერების მხოლოდ რუსეთში დაბრუნებას ამზადებენ—ტერციუმ ნონ დატურ» (ეს წერილი ჯერ რუსულ «კავკაზში» მოთავსდა, დეკემბერს).

როგორ მოგწონთ? როდის ან სად «აქეზებდენ» ვისმე ქართველები, განურჩევლად მიმდინარეობისა, თურქეთის წინააღმდეგ? ჩვენ ზევით გაკვრით ვახსენეთ 4 დეკემბრის კრება, რომელზედაც ქართველმა პოლიტიკურმა ემიგრაციამ, პირიქით, სრულიად ლოიალურად და მეგობრულად გამოხატა თავისი პოზიცია თურქეთისადმი. შეიძლება ბამატი მისამართი აერია, სომხის საზღვარ-გარეთელი წარმომადგენელი მართლა აცხადებენ თურქეთს თავის მტრად, ხოლო რამდენჯერ შეგბრძოლებივართ სწორედ აქ მათ ორ ფრონტზედ ბრძოლას? მაშ რაშია საქმე? იმაში, რომ ბამატი სისტემატიურად უსიხინებს თურქებს ქართველებზე, სწორედ იმ ქართველებზე, ვინც საქართველოს სათავეში უდგენ კიდევ გუშინ და დღეს მის აღდგენისთვის ილწვიან.

მაგრამ კიდევ უკეთესი: ბამატი ესლა თურქეთსაც არ სჯერდება, ირანის მომდურებასაც ლამობს! ვინა ჰყავს მას სახეში, ვინ «აქეზებს» ირანის წინააღმდეგ? ბამატი არ მალავს, შავით თეთრზე გადააქვს: «დასასრულ ჩვენ მიემართავთ აგრედვე აზერბაიჯანულ

პოლიტიკურ აზრსაც და მოვითხოვთ მისგან, რათა გადაჭრით გამოემიჯნონ იმ თავშეუკავებელ ფანტაზიის მეგალომანებს, რომლებიც თავიანთი ფანტასტიური მისწრაფებებით ისე იოლად სტებოდნენ არაქსის იქით და თავიანთ გაუმადლარ მადას თავრიზზედ და თავრიზის იქითაც ავრცელებდნენ». ეს კი სულ ახალი ბრალდებაა, ან უკეთ—ცილისწამება. ამდენი ხანი თანავმშრომლობთ აზერბაიჯანელებთან, მათ დღეუგაციასთან, ყველა მათ პოლიტიკურ მოღვაწეებთან, ჯერ კიდევ მათ შინაჯრუთანხმობებს წინედაც უცხოეთში, და ჩვენ არავისგან, თვით ჩვენთან ცუდად განწყობილ პირთაგან, არ გვსმენია მათი «ფანტასტიური მისწრაფება არაქსის თუ თავრიზის იქითკენ». რაა ამ გაუგონარი გამოლაშქრების სახელი? პროვოკაცია თუ ნაცარქეჩობა?

ჩვენ უფრო მეორე ეპიტეტს ვარჩევდით. ვინ მისცა ბამატს უფლება ასეთი აპლომბით ილაპარაკოს კავკასიის სახელით? ის თავის თავს კავკასიის ერთა კონფედერაციის დამცველად ასაღებს და არ ესმის, რომ მზგავსი ულაზათო გამოსვლებით ის მხოლოდ ამ ერთა გათიშვას უწყობს ხელს. მათი დასმენა კი ორ მეზობელ სახელმწიფოსთან, რომელთა მეგობრულ განწყობილებას კავკასიასთან ასე უზომო მნიშვნელობას ვაწერთ ჩვენ ყველანი, მართლა წრეგადასულ «მეგალომანიის» შედეგი უნდა იყოს, თორემ სხვაგვარ როგორ ავხსნათ მის მიერ კავკასიის «ფიურერობის» დაჩემება.

არა, ერთი ახსნაც არის: ორიოდე გზადაბნეულ ქართველის ბამატის ამალაში ჩაწერა. ჩვენ არ უნდა დავმალეთ, პირიქით აშკარად უნდა ვსთქვათ, რომ სწორედ ამ ქართველებმა იცნეს ბამატი თავის «ფიურერად», ამან, მხოლოდ ამ გარემოებამ მისცა უკანასკნელს ევროპი კადნიერება და სითამამე. მაგრამ არ იკითხავთ, რომელ წრეს, რომელ პარტიას, რომელ ქართულ «პოლიტიკურ აზრს» ეყრდნობიან ეს ვაჟბატონები? ჩვენ გვესმის, უკმაყოფილო იყოთ არსებული პარტიების, მათი დაჯგუფების, მთავრობის, არავინ გიშლით დაუზოგველად გაილაშქროთ მათზე, მაგრამ ამ თავაშვებული გალაშქრების საერთაშორისო ასპარეზზე გადატანა, საქართველოს გუშინდელ ხელმძღვანელ ძალთა ქვეყნის მტრად დასახვა ექვს ენაზე, ამისათვის ერთი უპასუხისმგებლო პირის თავის ბელადად აღიარება, რომელიც არ ერიდება ქართველების, მათი მეზობლების თურქეთის და ირანის წინაშე დაბეზლებას!.. ვის საქმეს აკეთებენ ისინი—კიდევ ვკითხულობთ ჩვენ—მტრის თუ მოყვრის, ქვეყნის თუ თავის თავის? განა არ ხე-

დვენ, ვინ ლაპარაკობს მათი პირით, ვის საყვირად გამხდარან?

ჩვენ ისიც გვესმის, რომ ემიგრანტულ ვაგლახ პირობებში ზოგიერთი ქართველი მზადაა თავისი უმწეო მდგომარეობა დამოუკიდებელ საქართველოს მეთაურთ გადააბრალოს, დაიწუნოს მათი პოლიტიკა და მათ ნაცვლად თავის თავი დიდ პოლიტიკოსად დასახოს. მაგრამ ესლა თვით პროფესორი ზ. ავალიშვილი გვიმომწმებს, რომ ეს ადვილი საქმე არ ყოფილა. აბა დახეთ, რა საჯაყი საქმე მოუფიდა მას: შარშან ივლისში «არქეოლოგიურ» კვლევადიების საგნად გამოაცხადა ქართველების არსებობა, ყარსის ხელშეკრულებით, თურქეთზე გადაცემულ პროვინციებში; დეკემბერში კი ის გვიჯავრდება, «თითქოს მათ—ბამატის თანამშრომელთ—უარი ეთქვათ საქართველოს საღმრთო უფლებებზედ იმ პროვინციებზედ, რომლებიც ბოლშევიკებმა ყარსის ხელშეკრულების ძალით, 1921 წელს, თურქეთს დაუთმეს». ჩვენ არაფერი გვაქვს წინამდებელი, თუ გინდ ასეთი მკრთალი რეაბილიტაციის ცდის პროფესორის მხრით, მით უფრო, როგორც თვითონვე ამბობს იმავე «კავკასის» დეკემბრის ნომერში, «სამხრეთ საზღვრების საკითხის გადასინჯვას დღეურ საჭირობორატო საკითხად ვერ ჩავთვლით». მაშ რად აყვივით, ბატონო, «კავკასის» გამომცემელს, კითხვა ხომ მან დააყენა და არა ჩვენ, რატომ ეცადეთ, მისი დასმენა «მეცნიერულად» დაგესაბუთებიათ? განა არ იცით თქვენ თვითონ, რომ დიდ რუსეთთან სამკედრო სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაბმულ ქართველ ერს აზრადაც არ მოუვა, თურქეთიც გადაიკიდოს, რომელთანაც მას მხოლოდ მეგობრობა სურს?

მაგრამ ზ. ავალიშვილი ესლა მეორე მიუტევებელ ნახტომსაც აკეთებს: საქართველოს მუსულმანურ პროვინციებზე რამიშვილის მთავრობამ, ბათუმის ხელშეკრულებით, აიღო ხელი და ამ, მისივე განცხადებით, ულტიმატუმით გამოწვეულ აქტს ყარსის ხელშეკრულებას უთანაბრებს! აი, სანამდი მივა კაბინეტის კაცი, როცა ის უცაბედად პოლიტიკურ მორევში ამოყოფს თავს. ბათუმის აქტი, ისე როგორც ბრესტ-ლიტოვსკის აქტი, ვერსალის აქტმა გააუქმა; საქართველო, როგორც სხვა ბევრი სახელმწიფო, თავის ტერიტორიალურ უფლებებში, ე. ი. 1914 წლის საზღვრებში აღდგენილი იქნა, და მხოლოდ ამის შემდეგ ხელმეორედ გასცა ვერაგმა მოსკოვმა, თავის ნებით და არა ულტიმატუმით, საქართველოს პროვინციები. განსხვა-

ვება ნათელია, განა ზ. ავალიშვილმა არ იცის ეს?

მან სხვა რამეც იცის: ყარსის აქტის მადლიერი უნდა იყოთ, რადგან ბათუმის აქტი ახალციხეს, ახალქალაქს და ბათუმსაც თურქეთს უთმობდა—გვაყვიდრის პროფესორი. და აქ მოიტანს ის ერთ სრულიად მოულოდნელ საბუთს: საქართველოს მთავრობის და მის რწმუნებულების თვალში ბათუმის ხელშეკრულებას «საბოლოო ხასიათი ჰქონდა!»! საიდან გამოიტანა ეს დასკვნა? მაშ რად დაიშალა ამიერ კავკასიის ფედერაცია? რისთვის მოუხდა თვით ზ. ავალიშვილს უცხოეთში მოგზაურობა სხვებთან ერთად საქართ. მთავრობის თავალებით? ნუ თუ იმისთვის, რომ ბათუმის აქტი დაეცვათ, საქართველოს მთავრობის სახელით? განა მან არ იცოდა, რომ საქართველოს, სომხეთს და აზერბაიჯანს იმავე ულტიმატუმს გადასცემდა ოსმალეთი, რაც ამიერ-კავკასიას გადასცა?

ტყუილად გგონიათ, რომ ზ. ავალიშვილმა არ იცის ყველა ეს, პირიქით, ეშინია, იქნება სხვებმა არ იციანო და სხოლიოში ათავსებს: «ამ წერილის თემისთვის ბევრი დაწვრილებითი ცნობა არის მოყვანილი ჩემს წიგნში: ნეზავისიმოსტ გრუზიი ვ მეუღუნაროდნო პოლიტიკე. პარიზი 1924 წ.» კარგი იყო, პროფესორს არ ესხენებია ეს წიგნი და მით იძულებული არ გავხადეთ, ერთი სიმართლევ კიდევ გვეთქვა მისთვის: გაცემულ პროვინციებს ვინ ჩივის, საბჭოთა ქუსლის ქვეშ მყოფი საქართველო თქვენ «არქეოლოგიურ» კვლევადიების საგნად გახადეთ კიდევ 1924 წელს! ჩვენ გგგონია ამას დიდი განმარტება არ ექვივება. ოთხი წელიწადიც არ გასულიყო, რაც ქვეყანას უცხო მტერი მოაჯდა კისერზედ, ერი იბრძოდა გაშმაგებით ამ გაუგონარ ძალმომრეობის წინამდეგ—გაიხსენეთ 1924 წლის აჯანყება!—მისი კანონიერი წარმდამდგენლობა უცხოეთში ზურგს უმაგრებდა ამ გმირულ ბრძოლას, და ამ დროს ერთი მისი მოგზავნილთაგანი მთავრობის დიპლომატიურ მუშაობას საქვეყნო ფართო შარა-გზაზედ აფენს! მერმე როგორის სახითა, როგორის კილოთი, როგორის დაცივით!

დროა გავათავოთ. ბამატი და მისი «თანამშრომელი» მანვე მუშაობას ეწევიან სათითაოდ თავის სამშობლოსთვის, საერთოდ კავკასიისათვის. ჩვენ ვფიქრობთ, კიდევ არის დრო გონს მოვიდენ; თუ არ მოვლენ, მით უარესი მათთვის. საქართველო, მთელი კავკასია მათი უმისოდაც გაუძღვება თავის საქმეს.



დასვრამტა გრქმლდმვა

10 დეკემბრის «კომუნისტმა» გულის შემზარავი ამბავი მოგვიტანა. საოკუპაციო ხელისუფლება კვლავ განაგრძობს ქართველი ერის სასიცოცხლო ძალების განადგურებას. ჯერ იყო და პოლიტიკურ მოწინააღმდეგე მუსრბი გაავლეს, არავინ დაინდევს. ესლაკი ჯერი ქართველ ინტელიგენციანე მიმდგარა.

პროფესორები: გ. ელიავა, გრ. წერეთელი, ალ. წერეთელი, ლეონიძე, ინჟინერი ჭიჭინაძე, რუსთველის თეატრის ყოფ. დირექტორი ს. ახმეტელი; მწერლები: მ. ჯავახიშვილი, ტ. ტაბიძე; ცნობილი მოღვაწეები: ნ. ქარცივაძე, სეით დევდარიანი, გ. მახარაძე და სხვები—პირ სისხლიან ბერის სიტყვით—«ჩეკას შეუპყრია, გაუნადგურებია და მოუსპია».

აქ ჩამოთვლილ პირთავან მხოლოდ ქარცივაძე და გ. ელიავა იყო «სამართალში» მიცემული. დანარჩენები—ქურდულად, გაუსამართლად დახვრიტეს, და აი ესლა, ნ თვის სიხუმის შემდეგ, ჯალათი ბერია ქართვე. ინტელიგენციის კრებაზე ამჟღავნებს ჩეკის სარდაფებში ჩადენილ ამ მკვლევობას. დახოცილთ, სამუდამოდ დაღუმებულთ «ჯაშუშობას, დივერსანტობას და მავნებლობას» აბრალებს! რომ ეს მართალი იყოს, რომ ჯალათებს ამის საბუთი ქონდათ, განა მათ «დანაშაულს» ხუთ თვეს დამალავდენ და საჯარო გასამართლებას არ მოუწყობდენ? არა, აქ მსხვერპლთა «დანაშაული» არაფერ შუაშია. კრემლის სისხლიან ყაჩაღებმა კარგად უწყიან, რომ ჯავახიშვილ-დევდარიანს და სხვებს აღნიშნულ ბრალდებასთან არავითარი კავშირი არ აქვთ. პირიქით, დევდარიანი დიდი ხანია საბჭოთა პლათფორმაზე დადგა და სხვებსაც შერიგებას ურჩევდა.

მაშ რაშია საქმე? რისთვის დახვრიტეს სრულიად აპოლიტიკური პროფესორები, მწერლები და ხელოვნების მუშაენი? რად დასჭირდათ ჯალათებს ახალი მსხვერპლი, სისხლის ახალი გუბეები?

ამის გასახსნელს მოსკოვის დღევანდელ მესვეურთა პოლიტიკა იძლევა. დღეს მთელ რუსეთში აგორებულთა წმინდა რუსული, ველიკორუსული შოვინიზმის ტალღა. იგი ძველი რუსეთის იმპერიალისტურ სამოსელში ეხვევა და საბჭოთა კავშირის ყველა ერების ერთ რუსულ ერად გადაქცევის გზაზე დგება. რომ ეს ასეა, ამას გვიმტკიცებს იმავე ჯალათ ბერიას მიერ ქართველ ინტელიგენტთა კრებაზე (9 დეკემბ.) წამოყენებული ახალი დირექტივა: «ჩვენ—ამბობს იგი—უფრო ღრმად უნდა შევისწავლოთ უმდიდრესი რუსული კულტურა და რუსული ენა». ამ მოკლე ფრაზაში მოცემულია კრემლის დღევანდელი რუსიფიკატორული პოლიტიკა. აქ რუსული ენა, რუსული კულტურა ყველასთვის სავალდებულოდ არის გამოცხადებული; მისი შესწავლა, მის დარჯჯაში მოქცევა არარუს ერებისათვის უახლოეს ამოცანადაა აღიარებული.

ამ ჩვენს მოსახრებას ადასტურებს ათი იანვრის «პრავდა», «ინვესტიკა» და «კომსომოლსკაია პრავდა», რომლებიც განსაკუთრებულ წერილებს უძღვნიან რუსული ენის გაბატონების აუცილებლობას, იმის «მთელ კავშირში სავალდებულო ენად გამოც

ხადებას». ამ მიზნით, უკრაინაში, ყირიმის რესპუბლიკაში, აზერბაიჯანში და სხვა «საკავშირო რესპუბლიკებში» ფიცხელი ბრძანებაა გაცემული, მოსკოვი მოითხოვს, ამ მხარეებში «რუსული ენის წინამოწევას—ადგილობრივის უკანა პლანში დაყენებას», ერთი სიტყვით, ნაციონალურ რესპუბლიკების სრულ რუსიფიკაციას.

თუ ამას მოუმატებთ ესლახან მოსკოვში შეყრილ «ჩინოვნიკთა» და «ჩეკისტთა», ე. წ. «უმალღეს საბჭოს» ნაციონალურ შემადგენლობას, რომლის სამიმეოთხედი ნამდვილი რუსია—მაშინ ნათელი გახდება, თუ რატომ ანადგურებს და უღეტავს მოსკოვი ჩაგრულ ერებში სასიცოცხლო ძალებს.

ცხადია, რუსიფიკაციის ამ ახალ ტალღას ადგილობრივი ხალხები ადვილად ვერ ურიგდებიან. ყრუ ბრძოლა და უკმაყოფილება დღითიდღე იზრდება და მოსკოვის ბატონობას ემუქრება. კრემლიც შეშფოთებულია და ჩეკას ამუშავებს. მისი სურვილია, მოსალოდნელ გართულების დროს ჩაგრულ ერებში არავინ დარჩეს ისეთი, რომლის ირგვლივ შეიძლება ხალხის შემოკრება. აქედან: მოსპობა, განადგურება ყველა იმათი, ვინც სიცოცხლის, ავტორიტეტის და სახელის ნიშანს ატარებს და მით მოსალოდნელ ქარტახილში ერის უმეტაუროდ დატოვება. აი მოსკოვის მზაკვრული მიზანი დღეს ჩვენს წინაშე ჯოჯოხეთად გადაშლილი!

ამრიგად რუსეთის იმპერიალიზმი წელში იმართება, თავის ძველ პოზიციებს იჭერს და მის ფარეხში ძალით შერევილ ერებს განადგურებას ემუქრება. ხოლო ამ სისხლიან პოლიტიკის, «ველიკორუსულ» საქმის გამტარებლად საქართველოს სადისტი ბერია მოვლინიბა. ის არ ინდობს არავის, ოლოდ მოსკოვის საქმეკი უზრუნველყოს კავკასიაში. მისი ცინიკური გამოსვლა ქართ. ინტელიგენტთა კრებაზე შედევრია ადამიანის აბუჩად აგდების, უმეცრის მეცნიერთა წინაშე ჯამბაზობის. რას იხამ, «ძალა აღმართს ხნავს» და «ოქტომბრის გუთანიც» საქართველოში ცოცხალ ადამიანთა ბელტებს აგორებს. რეპრესია და სისხლი—აი რა დარჩენიათ ჯალათებს. მაგრამ ვინ არ იცის, რომ რეპრესიები და ხვრეტა საუკეთესო მახვენებელია ქვეყანაში არეფ-დარევის, უკმაყოფილების.

მაგრამ შესძლებს კი მოსკოვი რეპრესიებით და სისხლით ჩაგრულ ერების გარუსებას და მით თავისი მიზნების განადღებას? ამის იმედი ამაოა.

სან. მან.

ვინ განსა საპართველოს მივა-წყალი?

(პასუხად ბ. ზურაბ ავალიშვილს)

ბ-ნი ზ. ავალიშვილი თავს იმართლებს. იმან მთელი რიგი წერილით დაიწყო ჯერ მოშინჯვა ქართული შეგნებისა, მერე ფრთხილად გატარება იმ აზრისა, რომ ხელი უნდა ავიღოთ საქართველოს იმ ტერიტორიაზე, რომელიც ყარსის ხელშეკრულების ძალით ბოლშევიკებმა დაუთმეს ოსმალეთსო. რასაკვირველია, ამ კამპანიამ აღაშფოთა გადმობეწილი



ქართველობა, რომლის გაერთიანებულმა ყრილობამ, 4 დეკემბერს, ერთხმად, განურჩევლად პარტიონისა და დაჯგუფებისა, დაჰკვირდა და გაჰკიცხა ასეთი საქციელი.

ესლა ბ-ნი ავალიშვილი თავს იმართლებს. მაგრამ მისი თავის გამართლებაც თავისებურია. ის ვერ ბედავს თავის დანაშაულის უარისყოფას (და ვერც გაბედავს, ვინაიდან მისი ნაწერები ამას ნათლად ამტკიცებენ); ამიტომ ის ეძებს მხოლოდ ბრალდების შემამსუბუქებელ გარემოებას. «მე რაო, ამბობს იგი არსებითად, ვანა სხვებს არ ჩაუდენია ამისთანა დანაშაული?!» ასეთია ლოლიკა ბ-ნი ავალიშვილისა: თუ სხვებს ჩაუდენიათ ამისთანა დანაშაული, თურმე ეს კმარა, რომ იმანაც ჩაიდინოს იგივე დანაშაული. აი რასა სწერს იგი «კავკასია»-ს მე-7 ნომერში:

«1918 წლის 4 ივნისს ე. ი. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ, მისმა დელეგატებმა ხელი მოაწერეს ზავისა და მეგობრობის ხელშეკრულებას... ვინ იყო, რომ საქართველოს მიერ ყველა მის მუსულმანურ პროვინციებზედ ასე სრულ ხელის აღების აქტს ხელი მოაწერეს?—საქართველოს მთავრობის პირველი თავმჯდომარე ნ. რამიშვილი, გ. გვაზავა, გ. რცხილაძე და ლენ. ოდიშელიძე».

როგორც ხედავთ, თავის გამართლების მაგიერ, ბ-ნი ავალიშვილმა მოატრიალა კეხი და ბრალდებულის სკამიდან გადასკუპდა ბრალმდებელის სავარძელში. პასუხისმგებში ესლა ის კი არა, ჩვენ ვართ მიცემული: რამიშვილი, რცხილაძე, ოდიშელიძე და მე, მაშინდელი დელეგატები თავისუფალი საქართველოსა. სამწუხაროდ, ბ-ნი ავალიშვილი კმაყოფილდება მარტო ბრალდების წამოყენებით და სრულიად ავიწყდება, რომ ყოველ ბრალდებას უნდა დასაბუთება. რატომ არ მოისურვა ბ-ნი ავალიშვილმა, ერთი-ორი სიტყვით მაინც გაეშუქებინა ის, თუ რა პირობებში მოხდა ბათუმის ხელშეკრულების დადება? ალბად ეს გაშუქება მისთვის არ იყო ხელსაყრელი. ბ-ნი პროფესორი ფრთხილი კაცია: ეშინია თავზე არ დაეგრეს მისგან ახუხულებული ბრალდება.

აი მოკლედ ეს პირობები:

ჩვენ გამოვაცხადეთ დამოუკიდებლობა 26 მაისს. 4 ივნისს კი ჩვენ წინ იდგა ბათუმში შემოჭრილი ოსმალეთის ჯარი. თავისთავად ცხადია, ერთი კვირის განმავლობაში საქართველო ვერ მოაწყობდა საკმარის ჯარსა და სამხედრო მასალას, რომ შეეჩერებინა ოსმალეთის ლაშქარი. რუსეთი დამარცხებული იყო; ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით მან დაუთმო ოსმალეთს ბათუმის, არტანუჯის და ყარსის ოლქები. დღიდან ამ ხელშეკრულების დადებისა ჩვენთვის ცხადი იყო, რომ ოსმალეთი წამოვიდოდა ამ პროვინციების დასაპყრად და დიდ განსაცდელში ჩავარდებოდა მთელი საქართველო. ამიტომ ჩვენ მაშინადვე დავიწყეთ საჭირო დიპლომატიური მუშაობა. ერთად ერთი ძალა, რომელსაც შეეძლო მაშინ რაიმე დახმარების აღმოჩენა, იყო გერმანია. ჩვენც დროზე შევეცადეთ და გავიტანეთ

გერმანიაში ის აზრი, რომ არ იქნებოდა დიდი სახელი გერმანიისათვის, თუ ის ნებას მისცემდა თავის მოკავშირე ოსმალეთს, მუსულმანურ ქვეყანას, დაეჭირა საქართველო, ქრისტიანული ქვეყანა. ეჭვი არ არის, ამ მუშაობამ იჩინა თავი ბათუმში. ოსმალეთი შედგა: ის დაკმაყოფილდა სამუსულმანო პროვინციების დაჭერით. ჩვენც ხელი მოვაწერეთ ამ წინასწარ შეთანხმებას და ამით გადავარჩინეთ აწიოკებას და აზრებას ქრისტიანული საქართველო.

ბ-ნი ავალიშვილის დაფასებით კი ეს იყო «დიდი დიპლომატიური მარცხი». «ამაო მომიზნებდა იქნება, სწერს იგი, ითქვას, რომ ბათუმის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა აუცილებლობით იყო გამოწვეულიო». ალბად ბ-ნი ავალიშვილს აქვს ამის საბუთები. კარგი იქნება, რომ ის გამოაქვეყნებდეს ამ საბუთებს და ესლა მაინც, ოცი წლის დაგვიანებით, დაგვანახებდეს—ჰქონდა თუ არა მაშინდელ საქართველოს სხვა რაიმე გამოსავალი. მე გარწმუნებთ, რომ ის ვერაფერსაც ვერ გამოაქვეყნებს.

როგორ მოიქცეოდა თვითონ ავალიშვილი, ის რომ ყოფილიყო ჩვენს ადგილას? ალბად ხელშეკრულებას ხელს არ მოაწერდა. შედეგი ამისთანა ბრძნული დიპლომატიისა იქნებოდა ის, რომ ოსმალეთის ლაშქარი შეიჭრებოდა გურია-იმერეთში და შავ დღეს დააყენებდა მთელს საქართველოს.

ჩვენ ასე არ მოვქცეულვართ. ხელის მოწერა ჩვენთვის იყო მხოლოდ დროის მოგება. ბ-ნი პროფესორმა უნდა იცოდეს, რომ ასეთ შეთანხმებას უნდა მოჰყვეს ყოველთვის მისი რატიფიკაცია, ურთოდისოდ იმას არა აქვს არავითარი მნიშვნელობა. «სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს», ამბობს ქართული ანდაზა, რაც სრულებით არ ნიშნავს ხმლის ხელიდან გაგდებას, არამედ მხოლოდ ბრძოლის გადადებას. შემდეგ ამბებმა დაამტკიცეს სისწორე ჩვენი შეხედულებისა: რატიფიკაცია არ მომხდარა და თვით ოსმალეთი იძულებული გახდა დაეცალა სამუსულმანო საქართველო.

ასე ჩაბარდა ისტორიას ბათუმის ხელშეკრულება: იმან სარგებლობა დიდი მოგვიტანა, ზიანი კი არავითარი.

სულ სხვანაირად უყურებს და სხვანაირად აფასებს ბ-ნი ავალიშვილი 1921 წელს ყარსში დადებულ ხელშეკრულებას.

«სამართლიანობა მოითხოვს, სწერს იგი, ითქვას, რომ საზღვრები ოსმალეთთან, რომლებიც ყარსის ხელშეკრულებამ უზრუნველ ჰყო, გაცილებით სასიკეთონი არიან, ვიდრე ის საზღვრები, რომელზედაც ხელი მოაწერეს 1918 წელს—რამიშვილმა, გვაზავამ, რცხილაძემ და ოდიშელიძემ».

სჩანს, სამართლიანობის იდეაც თავდაყირა აქვს დაყენებული ბ-ნი პროფესორს.

ბათუმში 1918 წელს, როგორცა ვთქვით, ჩვენ წინ იდგა გამარჯვებული ოსმალეთი. ყარსში კი (1921 წ.) ოსმალეთი იყო დამარცხებული და დანაწილებული: ის განდევნილი იყო სტამბოლიდან; იმას ჩამოაღალეს ერავი, სირია, პალესტინა, არაბეთი... იმას უტევდა დასავლეთიდან საბერძნეთი. ის იყო გაუ-



ყლექტილი და, რასაკვირველია, არაფრის მოთხოვნა იმას არ შეეძლო. მიუხედავად ამისა ბოლშევიკებმა იმას შესთავაზეს მთელი სამუსულმანო საქართველო.

ეს არასოდეს არ მოხდებოდა, საქართველო მაშინ რომ თავისუფალი ყოფილიყო. დღიდან თავისუფლების გამოცხადებისა საქართველო მომარტოდა და გაიზარდა. 1921 წელს იმას ყავდა საკმარისი ჯარი და ჰქონდა საკმარისი სამხედრო მასალაც. იმისთვის სრულებით ძნელი არ იყო უფრო დამარტოვება უკვე დამარტოებული ოსმალეთი. თუ ბათუმიდან მან გარეკა ოსმალეთის ჯარი, ამ ოპერაციის მოხდენა არტანუჯი თუ ოლთისში მისთვის უფრო ადვილი იქნებოდა. საერთაშორისო განწყობილებაც ხელს უწყობდა. საქართველო ცნობილი იყო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო მისი მთლიანი ტერიტორიით, და სვერის ხელშეკრულება განგებ ღიად ტოვებდა ოსმალეთის საზღვრების საკითხს საქართველოს მიმართულებით, ე. ი. ჩუმად ამტკიცებდა იმ საზღვრებს, რომელიც მაშინ ჰქონდა საქართველოს, მაგრამ რუსეთის ვერაგულმა თავდასხმამ მოსპო ყველა ეს შესაძლებლობა: მან დაანგრია ჩვენი სახელმწიფო, მერე გასჭრა ორად მისი მთლიანი ტერიტორია და ერთი ნაწილი შესთავაზა ოსმალეთს, რომელიც ამისთანა საჩუქარზე ოცნებაც კი არ შეეძლო.

ბ-ნი ავალიშვილის აზრით კი, ეს არ იყო საქართველოს ტერიტორიის დაჭრა და გაჩუქება, არამედ მხოლოდ «გაცილებით სასიკეთო საზღვრების» გაყვანა!!

რად აფარებს აგრე ბოლშევიკებს ხელს ბ-ნი ავალიშვილი, ეს ჯერჯერობით მისი საიდუმლოებაა.

ბ-ნი ავალიშვილი თვითონ გრძნობს თავის უმწეო მდგომარეობას. ამიტომ ცდილობს გადაზღოს ოსტორიული პერსპექტივები კუროპალატის და თამარის დროისანი, თითქო ამ წარსულ დროის ამბებს ჰქონდეს რაიმე კავშირი დასმულ საკითხთან. ეტყობა, ბ-ნი ავალიშვილი ეუთუნის იმ მეცნიერთა ჯგუფს, რომელმაც კარგად იცის, დღე იყო თუ ღამე, როცა დაიბადა ალექსანდრე მაკედონელი, მაგრამ არ იცის, დღე არის თუ ღამე ესლა გარედ.

ბ-ნი ავალიშვილი ვერ ხედავს, რომ ჩვენ ვიცავთ არა «გადასულ დროების მწიგნობრულ მოგონებას», არამედ დღევანდელ ჩვენს სასიცოცხლო ინტერესებს, დღევანდელ ჩვენს უფლებას, მოპოებულს ბრძოლის ქარიშხალში აუარებელი მსხვერპლის გაღებით. რუსეთთან 7 მაისს 1920 წ. დადებული ხელშეკრულება და 27 იანვარს 1921 წ. მომხდარი საერთაშორისო ცნობა ჩვენი სახელმწიფოსი, ეს არ არის «მწიგნობრული მოგონება კუროპალატის თუ თამარის დროისანი». ეს დღევანდელი ამბავია, დღევანდელი საერთაშორისო სანქცია ჩვენი მიღწევის და ჩვენი სუვერენობისა. სად ჰქონდა ამისთანა უფლებანი რუმინიას, ბოლგარიას, სერბიას, ფინლიანდიას, ესტონიას თუ ლატვიას, როცა ეს სახელმწიფოები იბრძოდნ თავიანთ განთავისუფლებისათვის?!

ნუ ვედავებით!.. ბ-ნი ავალიშვილს ღმერთმა მი-

სცა თავისებური ნიჭი და თავისებური კალამი, საკვირველია, ერთიც და მეორეც იმას მომარჯვებელი აქვს არა იმისთვის, რომ დაიცვას საქართველოს საღმრთო უფლებანი, არამედ იმისთვის, რომ მოჰკლას ყოველი იმედი და ჩააქროს ყოველი ენტუზიანში. მან დასწერა რამდენიმე წიგნი: გაამახსარა ჩვენი სახელმწიფო, სასაცილოდ აიგო ჩვენი პოლიტიკური მოღვაწენი და რუსთაველს კი, ამ ჩვენს სიამაყეს და დიდებას, ისეთი ლაფი გადაასხა, რომ სულ ააყროლა მისი გენიალური შემოქმედება.

ესლა მიდგომია ჩვენს ტერიტორიალურ მთლიანობას, არყევს და ანჯღრევს მის უდავო საზღვრებს და ფენიდან გვაცლის იმ ნიადაგს, რომელზედაც ჩვენ ვდგევართ ჩვენს განმათავისუფლებელ ბრძოლაში. ის გვიჩვენებს სწელი ავილოთ იმ პრინციპებზე, რომლებიც ყარსის ხელშეკრულებით ბოლშევიკებმა დაუთმეს ოსმალეთს. თუ ყარსის ხელშეკრულება ასასრულებელია, ის კანონიერი ყოფილა და თუ ის კანონიერია, კანონიერი ყოფილა ის ხელისუფლებაც, რომელმაც იგი დასდო. გამოდის, ჩვენ ვაღდებულები ვართ აღვიართ კანონიერად ბოლშევიკური ხელისუფლება, ე. ი. შევეურიგდეთ იმას, რაც მოხდა და ხელი ავილოთ იმ ბრძოლაზე, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებთ ჩვენი ქვეყნის შელახულ უფლებათა აღსადგენად.

გიორგი გვახაია.

უ მ ა რ თ ე ბ უ ლ ო ბ ა

რედაქციისაგან სხვა შინაარსის წერილი მქონდა შეკვეთილი, მაგრამ დავალების შესრულებას ამაღინა შემთხვევით ჩემამდის მოხწეულ ჟურნალ «კავკასიამ»: თურმე ეს გამოცემაც ჰაიდარბეგ ბაბაძეს ჰკუთვნებია, ისევე როგორც რუსული «კავკასია» და, თუ არა ვცდები, სხვა ენებზედაც.

ქვემოთ სტრიქონებს მიხნად არა აქვს «კავკასიის» ჯგუფის პოლიტიკური კრიტიკა: საჭირო ცნობებს ამაზე მკითხველი ამოიკითხავს სხვა ადგილას.

ჩემი ყურადღება «კავკასია»-ში მიიპყრეს ინსტიტუტურად ქართველებმა. წერის მიხედვით, ანუ საგნისადმი მიდგომით ესენი საკმაოდ განირჩევიან ერთიმეორისაგან: ერთნი მოსაგალო ჭირვარამზე სწერენ, ისევე როგორც სხვა გამოცემებში ყველა ქართველნი; ამათი ნაწერები არხეინად სულ ადვილად მოთავსდება ყოველ ქართულ ანტიბოლშევიკურ გამოცემაში. გასაოცარი კია, რომ ზოგი მათგანი—დამსახურებულნი და ნამაგარნი—ასე დავგვიანებით გამოეხმაურნენ ძირითად მნიშვნელობის სახელმწიფო-პოლიტიკურ საკითხებს და ისიც «დარუბანდის» მიკიბ-მოკიბულ გზით!

სრულებით განსხვავებულად ქართველთა შორის «კავკასიაში» დგა შალვა ამირჯიბი. მის მიერ შერჩეულ თემებსა და მათ სპეციფიკურ ინტერპრეტაციას საშუაროზე გამოაქვთ ავტორის წინასწარ დასახული ტენდენცია.

გავყვით მის აზრებს, რამდენადაც ეს შესაძლებელია: რა ჯავრსა და ხაჯალათს მოუტავს მისი ფი-



ქრები? საიდანაა ის დარდი და მწუხარება, მას რომ ასე უმოწყალოდ უღადრავს გულის ფიცარს? ვინ არიან ის უღმრთონი, რომელთაც ამ—ჩვეულებრივად დინჯ—პიროვნებისათვის წაუგლეჯიათ წონასწორობა, აუფორიაქებიათ გონება? იქნებ ჩვენ—უმეცარნი და უმადურნი—ვერ აღვსულვართ მის ძიების საგნადის? იქნება მხოლოდ მას უნათებს ლამპარი, ჩვენ კი სახარების სულელ ქალწულთამებრ მწყვდიადნი დავრაცრაცებთ?..

ასე რომ ყოფილიყო მიახლოებით მაინც, დემოკრტი, რჯული—მე პირველი დავსრიდი ქედს, მაგრამ ასე სულაც არ არის: შალვა ამირეჯიბი დარდობს და ჯავრობს იმიტომ კი არა, რომ მას მიუგვნია «ქეშმარიტების» მისტერიუმისათვის, ჩვენ კი უღირსთ ვერ შეგვიგნია ეს ვეება ამბავი! არა, ის გვირტყამს, რადგანაც ვბედავთ ბოლშევიკების დასაძლევად ქართულ ყველა ძალების (და მათ შორის—horribile dictu!—მენშევიკებისაც) შეჯგუფებასა და შეკავშირებას! ერთი ცოდვაც თანა გვდევს კადნიერთ: დიდად ვეჭვობთ ბამატის უცთომელობაში ამა საქმეთა ზედა!..

კონკრეტულად რომ ვთქვათ, შ. ამირეჯიბის ნაწერებში წითელ ხაზივით გავლებული არის: 1) უკიდურესი გმობა და გინება ყველა იმისა, რაიცა საქართველოში ხდებოდა და კეთდებოდა 1918 წლის 26 მაისიდან რუსის ჯარების მიერ მის დაპყრობამდის; 2) მსგავსადვე წუმბის მისხმა ქართველ შეთანხმებულ პარტიებზე (ერთხანად შ. ამირეჯიბი პერსონალურადაც განისვენებდა «ცენტრის» სავარძელში).

მოკლე დროის ჩვენი დამოუკიდებლობის ყოფაცხოვრების მებოტბე ერთ-აღმწერელი რომ ძნელად გამოუჩნდება, ეს საქმეში ჩახედულმა ქართველმა ისედაც კარგა უწყის. ამ ამბებზე დროდანდროზე საკმარისად ბევრი თქმულა, და დაწერილა იმდენი, რამდენიც შემოზომილი არის ჩვენი დელიკატური მდგომარეობით... პოლიგოლოტური «კავკასის» ქოქოლა სრულებით ზედმეტია, თუნდაც იმ მოსახრებით, რომ იქიდან საბუთიანი კრიტიკა ნაკლებად ისმის და პოლემიკურ მასალის სისუსტისა გამო უფრო ეხერხებათ შორისდებულური ფრაზები: ჰაი, შენ ასეთო და ჰაი, შენ ისეთო!..

შ. ამირეჯიბი იშვიათი ოსტატი მწერალია. მისი ქართული მუდამ სასიამოვნოა საკითხავად, მაგრამ რამდენადაც მოხდენილი და განგონილი არის მისი სტილი, იმდენათვე ხშირად უღაზათო და უთავებოლა მისი შინაარსი: შ. ამირეჯიბი განზრახ დაეძებს «საკლიაუნო» თემებს—გამომწვევს, საკბენ, დასაცინს, დასამცირებელს. ჩვენი «პოლემისტი» მოპირდაპირეს პირდაპირ სანთლით დაეძებს... კალამს მოჰკიდებს ხელს თუარა—გათავებული საქმეა: უშენს მარჯვნივ და მარცხნივ, უშენს ყველას—მოყვარესაცა და მტერსაც (უკანასკნელს უფრო დანდობლივ), კამათობს გატაცებით, დაუსრულებლად; კამათობს მაშინაც, როცა მას არავინ ეკამათება: «რად გქულან, რად ემუშვლი, რად ეკამათები?» შეეკითხებოდა მას ჩვენთან ერთად საბასულხანიც...

კარგი სიტყვებით—ავი ფიქრები, სწორი ქართული—მრუდი აზრები, ლამაზ პანგებით—გონჯი ლექსები: ასე ჩამოყალიბდა შ. ამირეჯიბის ლიტერატურული სპეცილისტობა ვადმოხვეწილობაში.

იყო დრო, როცა მას აჩემებული ჰყავდა სპირიდონ კედი: ვინ მოსთვლის რამდენი კაკალი უმტვრია ნაციონალ-დემოკრატების ექსლიდერს თავზე?! ბოლოს როცა ეპიტაფიად დაუწერა «ბუნებისათვის ლიდერისა», მოსწინადა და მიაწება თავი...

ბოლო დროს ამირეჯიბის ისარი სულერთიანად და გამუდმებით მიმჩნებული არის ნ. ჟორდანიასაკენ. მრავალ საცოდნ და არასაცოდნ მიწნთა გამო ამ მხრივ მიშვერილი მისი გესლი უფრო მოურიდებელია და დაუნდობელი. ზოგჯერ პოლემიკურ გატაცებაში მას ისე უბრუვდება ტვინი, რომ ავიწყდება ელემენტარი სალიტერატურო ეთიკა: განზე აგდებს იმ გარემოებას, რომ ნ. ჟორდანიას ისტორიულ მოვლენის მთელ წყევბს გამო არ არის მხოლოდ «მენშევიკების» ბელადი. ამ პროფესიით რომ განიზომებოდეს და განისაზღვრებოდეს მისი მდგომარეობა, თქვენი მონამორჩილი უჩუმაბი დაშთებოდა მის წინააღმდეგ ამტყდარ განგაშში. მაგრამ გვინდა, თუ არ გვინდა, გვეპიტნავება, თუ გვეხამუშება,—ფაქტია ისტორიული და გარდუვალი, რომ ჟორდანიას პერსონიფიკატორულადაცა და სიმბოლურადაც ერთვის იმ ჯაჭვს, რომელიც მეფე გიორგი მეთორმეტის მიცვალებით ასი წლის ვადით გარემფლობელთა ხელთ გადავიდა... პიროვნება, რომელიც ვარემოებებმა უგვირგვინოდ აღიყვანეს საქართველოს სამეფეო ტახტზე, რომლის სახელით მპყრობელი ძალისა და უმადლესი განსახების «დეკრეტუმები» ითხებოდა, რომელსაც ხელთებოძებოდა საქართველოში მიჩინებულ ელჩთა და ამირბართა რწმუნების «გუჯრები»,—ასეთი პირი თუნდაც უბრალო ჯენტლმენურ გავებით რამენაირად დაცული უნდა იყოს უწმაწურ თავდასხმისაგან. წესზე და რიგზე აღზრდილ ქართველისათვის ეს თავისთავად საგულისხმოა. რა მოხდა ისეთი, რომ ამირეჯიბთა შთამომავალს ეს ანბანური თავაზი და ზრდილობა გადაეუწყა?! იცით, რაფრივ დაზოგვილია გერმანიაში განსვენებულ პრეზიდენტის სოციალდემოკრატებერტის სახელი? მას ტალახში არა ჰსვრიდა კონსერვატორ ჰინდენბურგის რაიხი, ის ასევე დანდობილია პიტლერის «ჰაკვენკროიცის» მიერაც: sapienti sat!

ჰმუნვითა ვწერ ყველა ამას: ჩვიდმეტ წელიწად უნახავ შ. ამირეჯიბთან სადავო ბაასი არა მწადდა! თავად დაფიქრდეს და მიჰხვდება, რომ პირში მომდგარი სხვა სიტყვები არ იძვრიან! შეიგნოს ისიც, რომ ბამატის წინაშე «ლოამ-ილაჰ-ილ-ალლაჰ-ის ღრიალით ქართული საქმე არ გაკეთდება!..

პოლემიკურ წარტაცებითა, თუ ჟორდანიის საბოლოო შესარცხვენად შ. ამირეჯიბი დღევანდელ საქართველოში მოწყობილი ილია ჰავჯავაძის საიუბილე დღეებზედაც სპეკულაციებს აწყობს. ავიღოთ თუნდ თითო ადლიანი ამონაწერები კომუნისტურ განუთებიდან იმის სათქმელად, რომ ბოლშევიკურ საქართველოში ილია თურმე უფრო პატრიცემული



ყოფილა, ვიდრე «მენშევიკურ» ემიგრაციაში! ამირეჯიბი წარბეშუხრელად უკომენტარიოდ ჰბეჭდავს ვილაც გათახსირებულ ბოლშევიკის მოჩმახულ ზღაპარს ილიას მკვლელობაზე. კარგა თქმულა, რომ მტყუანს (ან—ვიტყვი მე—მის ვეჭილს) ტყუილის კარამდის თურმე უნდა მიჰყვე, და ამაში მაგიერობას მიწვევს თვით ამირეჯიბის თანამოაზრე და თანამშრომელი დ. საღირაშვილი: ის დროზე და სამართლიანად იგონებს, თუ რა სუნი სდიოდა ფილიპე მახარაძის წერილებს «მოგზაურში» ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ. ვის არ ახსოვს სახელგანთქმულ ის განსაცვიფრებელ ღირსებით გაცემული პასუხი «ივერიაში», იმ დღეს რომ მარტო ილიას წერილით შეიზღუდა?!..

დ. საღირაშვილს ემიგრაციაში აღარ მოსწონს ქორდანია, მაგრამ მან ამ შემთხვევისათვის სიმართლე მაინც აამეტყველა, შ. ამირეჯიბი—კი ბოლშევიკების «განმარტებით» კმაყოფილდება: ჩვენს თავდას, როგორცა სჩანს, რუს «მლადოროსის» კიანშიბეკის ხელმოცა შეუსწავლია! როგორ არ უნდა ვთქვა: სჯობს ყოლა უწვრთნის ძაღლისა—უწვრთნელი შვილის ყოლასა... ილიას მკვლელობის ინსპირატორი, სამშობლოს გამცემი მოღალატე მახარაძე დღესაც ამყრალებს საქართველოს ჰაერს, ამირეჯიბი კი ცდილობს დაგვაჯეროს, რომ ეს ჭკუათხელა ლაწირაკი ფეთხანიში ილიას სათაყვანოდა და სადიდებლად არის წამოსკუბებული: ასე ემართებათ, ვინც თავის საქმის სარეკლამოდ სიმართლესა და მესხიერებას ღრმა ორმოში ჰმღავს!

შეიძლება ადამიანმა მაინც გაიფიქროს, რომ ამგვარი ფანტასმაგორული იდეები შ. ამირეჯიბს აღუძრა ილიას იუბილემ და რომ ის ამითი დამთავრებულად ჩასთვლიდა ქორდანიას და «კავკასის» გარეშე მდგომ ემიგრაციის გმობას ერთის მხრით, და ამასთან დაკავშირებით ბოლშევიკების «ნაღვალთა» შესხმას მეორის მხრით! უქმი იმედია: შ. ამირეჯიბი რათა ხანია გაუსხლტა ყანთარლას, დახტის, დანჯარდობს, დღეს ერთსა ჰკვრებავს, ხვალ მეორეს—გატაცებულად, აღგზნებულად, დაუცხრამეულად—ჰაიდარბეგ ბამატის «ფეილავან ბაშიმ უჩუნს!» ამგვარ ყოფაქცევას ხალხი ასე გამოჰხატავს: ერთი პირუტყვი მინახავს გორსა და ახალგორსაო, თავისთვის მუტრუკს აკეთებს, სხვას კი უკეთებს ჯორსაო!

მაშ რას უდრის ეს, თუ არა პირწავარდნილად ჯორების კეთებას, როცა ამირეჯიბი საქართველოს ნაციონალი მთავრობის (ანუ მისი სიტყვით, ქორდანიას მთავრობის) დასრულებულ დისკრედიტინაციისათვის არგუმენტებს ჰკრავს «იქ»—საბჭოთა სამფლობელოში: ჩემი არა გჯერათო? ჩემი ავტორიტეტი თქვენთვის არაფერიაო? ამბობს ჰაიდარბეგის მიუროდი: აჰა, იწანით კეფაში ივანე ჯავახიშვილის განაჩენი!! «ყაჩაღური», აი როგორი ყოფილა ქორდანიას მთავრობა!..

მე უნდა ისა ვთქვა ყოვლის უწინარეს, რომ «იქაურებზე» წერა «აქ» ერთმად ძნელია, საჩოთიროა. შ. ამირეჯიბს ერთი რამ უნდა მსოფლოდ, რაც შეიძლება მეტად ამტკივნოს მოპირდაპირეს, და სიდან

იქნება ტლინკი ნაკრავი, მას რა ენაღვლება!.. გვესმის ჩვენი ხანდახან ამგვარი სახის განცხადებანი, აღსარებანი, თუ განაჩენნი, საბჭოთა კავშირში მომხდარნი, გარნა ასეთი ოინები როდი გვაყენებენ სამხიარულოდ... თუმიცაღა აბა რას იხამ: თუ სხვას გული ეხუთება, შ. ამირეჯიბი ამ ამბების გაგონით ბუქნასა ჰკრავს!.. «იქიდან» მოსული ერთი რამ განცხადება, ვფიქრობ, შ. ამირეჯიბსაც არ ექნება დავიწყებული: შვიდიოდე წლის წინად მთელ საბჭოთა კავშირში «კამპანია» იყო ატენილი პოლონეთის წინამდეგ; როგორც მოსალოდნელი იყო საქართველოს ხმაც უნდა მიწვენილიყო ვარშავადის, და აი მაშინ ტფილისის უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს (ივანე ჯავახიშვილითურთ) განოატანიც «განაჩენი», რომელშიაც სხვა უშვერ სიტყვებთან ერთად, ისიც იყო ნათქვამი, რომ პოლონეთის სახელმწიფო კაცთა და მხედართმთავართა ტვინი—თურმე ნუ იტყვი—გამოლაყებული ყოფილა იმავე პროპორციით, როგორათაც დამძიმებული არის ჯვარმენდლებით მათი მუნდირები... აღარ მახსოვს, თუ შ. ამირეჯიბი მაშინ გამოეხმაურა ამ უხეირო თვისების ამბავს, მაგრამ თუ მცირედ მაინც აინტერესებს იმ დროს გამოთქმული ჩემი შეხედულება აქ აღნიშნულ ფაქტზე, მოიკითხოს «დამ. საქ.»-ს რედაქციის არქივში ჩამწნილებული ჩემი წერილი (მგონია კი, რომ ჩვენი ყურნალის კოლეგიაში იმ ხანებში შ. ამირეჯიბიც იჯდა: «ყაჩაღურ» მთავრობასთან ის ჯერ არ იყო უმძრახად). ამირეჯიბის დღევანდელ «სილოზოგიურ მეთოდს» თუ ავეყვით, მეცნიერუხუცესთ სრული სიმართლე უბრძანებიათ და მაშასადამე მათი «განაჩენიც» გულწრფელი ყოფილა და აუტენტიური!

მაშ ასე: 26 მაისს 1918 წელს საქართველოში დამკვიდრებულა ყაჩაღობა და ვინ იცის, რა კლდესა და ღრეში გადიჩეხებოდა აწიოკებული და შეძრწუნებული ქვეყანა, თუ ხეცას მაღალსა არ მოველინებინა დროზე «სარწმუნო წინამძღვარი» ანგელოზი—მოსკოველ ჯარის სახით! (არის ისეთი ვერსია, რომ ეს «განმათავისუფლებელი» მხედრობა შემოსულა ჩვენი ჩვენივე ხელაპყრობილი აჯიო). ასეა თუ ისე, რუსის ჯარმა—მადლობა უხენაესს—25 თებერვალს 1921 წელს შეანგრია და შემუსრა ყაჩაღთა ბანაკი...

საკვირველი კია ღმერთმანი: მთელი ამ ხნის მანძილზე მეცა და შ. ამირეჯიბიც ნებივრად მიბუდებულთ ვიყავით ამ საყაჩაღოში, ეკანონდებლობდით, სახელმწიფო აქტებს ფირმანს ვაძლეოდით, დაწესებულებებში თანავმშრომლობდით, სახელმწიფო ხაზინიდან გასამრჯელოს ვიღებდით... ესლა კი ირკვევა, რომ გვიყაჩაღნია, ნაცარცვით ხელი გვითბია, და ეს სხვათა და ჩვენი კრიმინალობა ჩვენი სილაჩრითა და გაიძვერობით თექვსმეტი წლის განმავლობაში გვიმალია!

ამირეჯიბი ესლა «აქ» ყურაცქვეტილი მოუთმენლად ელის «იქიდან» მოსულ ამბებს ბოლშევიკების «აქციების» ასაწევად! მაგრამ ტყვეთქმნილ საქართველოში ვეჭვობ არსებობდეს ვინმე ჭკუაუშლელი, რომ არ უწყოდეს ამ ყბადაღებულ განც



ხადებების ნამდვილი ფასი და წონა, რომ არ იცოდეს ისიც, თუ ვინ არიან ამ «სახოგადობრივ მანიფესტაციათა» ინსპირატორები და ცენზორები!..

«ქაქაბაძე» აღიარებანი უცდიან ფსიქოლოგიურ ანალიზს! მათი გადმოტანა საეჭვო ღირსების პუბლიცისტურ პოლემიკაში უსარგებლოა, დაბრკოლებას კი ბევრისაგან ბევრს შეიცავს: ესეც «კავკასიის» წრის ერთერთ «დამსახურებად» უნდა ჩაიწეროს!

ყაჩაღური ყოფილა ჩვენი დროის საქართველო? რა ვქნათ! ვზიდოთ საშვილიშვილოთ ეს ცოდვა და ჭირი მოთმინებით, სინანულით...

როგორიდაა აწინდელი საქართველო? ამაზე შ. ამირეჯიბის ხმას ვერ ამოაღებინებ! ეს არც შედის მის განზრახვებში: მაშინ ვიღას დაიმოწმებს ნ. ჟორდანიას წასახდენად!

მაგრამ აი, კიდევ ერთი მისი თანამოკალმე ახადები იმავე ჟურნალში მოსთქვამს, რომ კავკასიის ერებს არ ახსოვთ ძველ რუსეთის მხრითაც ისეთი შესახარი მოპყრობა, როგორიც მძვინვარებს ამჟამად ჩეკელებისაგან! არც რუსიფიკატორულ პოლიტიკას მიუღწევია უწინ ამ ზომამდე!.. შე დალოცვილო, ჯერ გადახედე რასაც სწერენ შენებივე და მერე აიმოწმე საბჭოთა ხალხს!

ყველა ასეთ ამბავთა გამგონი ვრ. დიასამიძე კი გადმოგვძახის მხურვალედ, მისებრ ტემპერამენტულად: ვთქვათ, ვწეროთ ყოველისფერი! ნუ გვეზინიან უცხო ენისაო!..

კაი დავემართება, შ. ამირეჯიბის პოლემიკით თუ დავატებთ უცხო მკითხველი! რაღაა ჩვენი ბრძოლა, თუკი მოსკოვის «კეთილმსახურ» მთავრობას უკვე უხსნია ერიცა და ბერიც საქართველოში ყაჩაღობის ბუღის ამოგდებითა და გაცამტვერებით?! იქნებ თვით ამირეჯიბმა გამონახოს რამე პასუხი საამისო და გამოასწოროს პოლიგლოტურ ანბანის მეოხებით ქართული სიტყვით ჩადენილი უზნო საქციელი? ქაჩაღმა წამალი იცოდეს, თავის თავს მოუშლიდა...

რ. ინგილო.

სიმაკთლის აღსაღმენად

ჩვენმა რედაქციამ მიმართა საქართველოს ერთ-ერთ მთავრობის წევრებს და სთხოვა, გამოეთქვათ თავისი აზრი შესახებ იმ წერილისა, რომელიც მოთავსებული იყო ქართულ «კავკასია»ს მე-8 ნომერში ყოფილი მთავარსარდლის ლენ. კვინიტაძის ხელის მოწერით.

ჩვენ მათ დაუსვით რამდენიმე საკითხი, რაზედაც მივიღეთ შემდეგი პასუხი:

პირველ ყოვლისა მათ გამოსთქვეს განცვიფრება იმის გამო, რომ სამხედრო პირი, ისიც ყოფილი სარდალი, ჩაება პოლიტიკურ ჯგუფურ დავაში მაშინ, როდესაც მას დღევანდლამდე ხმა არ ამოუღია სამხედრო საკითხების გაუშუქებაზე და არც პასუხი გაუცია ამ დარგში დაყენებულ საკითხებზე. სამხედრო პირის სპეციალური დარგია სამხედრო საქმე

და არა პოლიტიკა და რომ ეს ასე არის, ამას ამტკიცებს ლენ. კვინიტაძის წერილი. მას ვერ განურჩევია მთავრობის ოფიციალური კომუნიკე საგანგოო წერილისაგან და ის, რაც ჩვენ ოფიციალურად გამოვაცხადეთ 1921 წ. 27 მარტის თარიღით, მას აბუჩად აუგდია.

— თქვენ, როგორც მოგეხსენებათ ბ. კვინიტაძე თავის წერილში ამბობს, რომ არტან ართვინის მხარიდან ჯარებს ვერ გამოვიყვანდით, რადგანაც იქ ჯარები არ გვყავდაო. რამდენად შეეფერება ეს სიმართლეს?

— აქ ყველაზე გასაკვირი ის არის, რომ ჯარების მთავარსარდალს სავსებით დაიწყებია ჩვენი ჯარების დისლოკაცია ომის ხანაში. სინამდვილე კი ის გახლავთ, რომ სამხრეთი საზღვრები ისეთივე სახრუნველი საგანი იყო თავდაცვის საბჭოსათვის, როგორც სხვა საზღვრები. მას აქ ყავდა მთელი სამხედრო ნაწილები ყველა თავისი მოწყობილობით და სარდლით (წულუკიძე). ლენარალ კვინიტაძემ მთავრობის დადგენილებით თითონვე გამოიწვია უკან არტანის რაიონის ჯარი, რომელმაც, რასაკვირველია, ტფილისში ვერ მოგვისწრო. ყველა ეს ცნობები ესლა, სამწუხაროდ, მას რატომღაც დაიწყებია.

— როგორია თქვენი აზრი ქუთაისის მოლაპარაკებაზე? ან რა გარემოებით იყო იგი გამოწვეული?

— რაკი ყოფილ მთავარსარდალს ისეთი დიდი ფაქტიც აღარ ახსოვს, რაზედაც ზემოდ მოგახსენეთ, რა გასაკვირია, მას აღარ ახსოვდეს უფრო წვილიმანი ამბებიც და ღღეს ამბობდეს: მე ამ ამბების არაფერი არ ვიცოდით. მას ისიც დაიწყებია, თუ როდის და რატომ გადაწყვიტეთ საოკუპაციო ჯარებთან ბრძოლაზე ხელის აღება. და არც ის გახსენებია, თუ რატომ და რა მიზნით ჩვენ ვრ. ლორთქიფანიძე ქუთაისში (და არა «სამტრედიისში», როგორც ის სწერს) გავგზავნეთ მოსალაპარაკებლად. ესლა სურს ლენ. კვინიტაძეს მისი მეთაურობით წაგებულ ომის მსვლელობა სხვას გადააბრალოს. რაკი მან თავის გადაწყვეტილებით ტფილისიდან ჯარი გაიყვანა და მით ქლიობას კავალერიას გზა გაუხსნა, ახალციხე-აჭარის მიმართულებით ბათუმისაკენ წასულიყო, ჩვენ, როცა ბათუმში ჩავედით, მოგვხდით რუსის ჯარების რკალში. ერთი მოდიოდა სამტრედიის გზით, რაკიცა ლენ. კვინიტაძემ ვერ შეაჩერა, ხოლო მეორე—აჭარის გზით, რომელიც უკვე ბათუმიდან რამდენიმე კილომეტრზე დაბნაკდა. ამ რკალს მიემატა ოსმალების ნაწილები, რომლებმაც გადაწყვიტეს არეული მდგომარეობით ხელის მოთბობა. ჩვენ ამ დროს გაგვიჩნდა ახალი თავსატეხი საგანი: ბათუმი და მისი ოლქი დარჩენილიყო საქართველოს საზღვრებში, თუ მას ოსმალეთი დაპატრონებოდა. აი ამ დროს მთავრობამ გადასწყვიტა, ერთი მხრით ბოლშევიკების ჯარების მსვლელობა შეეჩერება მათთან მოლაპარაკების დაწყებით, მეორე მხრით—ეს შეჩერების დრო ესარგებლნა ოსმალების გასადენად ბათუმიდან და მომდაროყო მთავრობის ევაკუაცია საზღვარ-გარედ თანხმად დამფუძნებელი კრების დადგენილებისა. ეს ორი დასახული მიზანი სავსებით მიღწეულ იქნა. ხოლო ლენ.



კვინიტაძე ეხლა, 17 წლის შემდეგ სწერს: «შეკრა მან (მთავრობამ. X) სამტრედიაში (ქუთაისი. X) ზავი და მიიღო რა იგი აღსასრულებლად, მან მიიწვინა დასტოვა ტერიტორია»-ო. ბ. ლენერალის მტკიცება «ზავის შეკვრანე» სიმართლეს სრულიად მოკლებულია. ნამდვილი ის გახლავთ, რომ ქუთაისის მოლაპარაკების შედეგებისათვის ჩვენ ბათუმში არც კი მოგვიცდია. არავითარი დოკუმენტი არ მიგვიღია, ხელი არაფერზე არ მოგვიწერია, და, მაშასადამე, ამ დოკუმენტს არავითარი მნიშვნელობა აღარ აქვს. ჩვენთვის სავალდებულო იყო და არის დამფ.კრების დადგენილება და არა სხვა რაიმე.

— რამდენად მართალია ბ. კვინიტაძის რწმუნება, რომ ბათუმიდან ოსმალოს ჯარების განდევნის შესახებ მთავრობისაგან არავითარი ბრძანება არ მიმდინათ? ან თუ შეიძლება განგვიმარტოთ, რა მოსაზრებით იქნენ ციხიდან განთავისუფლებული ქართველი ბოლშევიკები?

— რაც შეეხება ოსმალების ჯარებისაგან ბათუმის განთავისუფლებას, ბ. კვინიტაძეს ამის შესახებ მართლაც არავითარი ბრძანება არ მიუღია მთავრობისაგან. და ეს გასაგებიცაა, ვინაიდან იმ დღიდან, რა დღესაც კვინიტაძემ გადაწყვიტა ევროპაში გასვლა, ის სარდალი აღარ იყო და არც შეეძლო ბრძოლის მეთაურობა. აგრედვე ის იხსენიებს იმ ფაქტს, რომ ჩვენ გამოუშვიტ ციხიდან ბოლშევიკები, ხოლო არ იხსენიებს იმას, თუ რისთვის და რატომ. რაკი მთავრობამ დაადგინა ბათუმის დატოვება ბოლშევიკურ საქართველოს საზღვრებში, მხოლოდ მთავრობა კი იძულებული იყო გასულიყო ბათუმიდან, რომ ელობას კავალერიას ხელში არ ჩავარდნოდა. მან გადასწყვიტა ქართველი ბოლშევიკების ციხიდან განთავისუფლება, რათა ამით გაეადვილებია ბათუმიდან ოსმალების ჯარების განდევნა. ეს ჩვენი გადაწყვეტილება ვაცნობეთ იმ ორ სარდალს, რომლებიც ჯართან რჩებოდნენ—მაზნიაშვილს და წულუკიძეს. ზი ესენი მართლა სწმენდნენ ბათუმს და მის არე-მარეს—იმ დღებში, როცა ლენ. კვინიტაძე იჯდა გემში, მონაწილეობას არ იღებდა ამ საქმეში და სტამბოლისაკენ მიემგზავრებოდა.

აქვე უნდა დაუმატოთ, რომ თითონ ლენერალი სწერს, რომ მან ნახა თავისი თვალთ, როცა ოსმალების წარმომადგენელმა ჩვენს საგარეო მინისტრს ბ. გეგეჭკორის ვაგონში შეუტანა ნოტა, რითაც აცნობებდა მას ბათუმის და მისი ოლქის შეერთებას ოსმალებთან. ხოლო ეს ნოტა მინისტრმა არ მიიღო და მომტანს უკანვე გადაუგდოვო. აქედან ცხადია, რომ მთავრობა არა თუ არ იყო ბათუმის გადაცემის მომხრე, არამედ ასეთი ნოტის მიღებაზედაც უარი სთქვა.

— ერთი პატარა საკითხი. მიგაჩნიათ თუ არა საჭიროდ დოკუმენტების გამოქვეყნება?

— რაც შეეხება დოკუმენტების გამოქვეყნებას, ეს, რასაკვირველია, მოხდება მაშინ, როცა ამას მოითხოვს საქართველოს ინტერესები.

ი ლ ი ა

1861 წელს, რუსეთში ოთხი წლის ყოფნის შემდეგ ახალგაზდა ჭავჭავაძე საქართველოში დაბრუნდა. «ყვარლის მთების» ავტორს უცხოეთიდან უცხო არაფერი ჩამოუტანია თავის ქვეყნისათვის: იმ იდეურ ავლადიდებიდან, რომელიც მაშინდელ რუსეთის ინტელიგენციის უმრავლესობის კუთვნილებას შეადგენდა, მან მხოლოდ ის მიიღო, რასაც საერთო ევროპული ხასიათი ჰქონდა, მისი სამშობლოსათვისაც საჭირო, გამოსადეგი. ქართველმა მწერალმა უარპყო სპეციფიურ რუსული—ნილიდისტური—მსოფლმხედველობა, რომელიც თავის უკიდურეს გამოხატულებას პისარევისა და მის მიმდევრების ნაწერებში ჰპოულობდა და გაბედულად სთქვა ამის შესახებ თავისი სიტყვა დამოუკიდებელ მოაზროვნისა, რომელსაც ახასიათებენ ბუნებით რეალისტის გამჭირახი გონება და ქართველი ადამიანის გრძობა. «სითამამეს, გაბედულობას ბევრი ბრწყინვალე მხარე აქვს და რად უნდა გვიკვირდეს, რომ ყმაწვილმა მას მიატანოს, რაც ბრწყინავს. პატარა ბავშვი მაშინვე ხელს გაუწვდის ხოლმე სანთლის ალსა»... პისარევმა, ამ ლამაზად მოუბარმა, მაგრამ ხელსუბუქმა მწერალმა ბევრი მოზარდი ყმაწვილი ჩაითრია და ბრმად აიყოლია. მის მიმხიდველს ძალას ვერც ჩვენებურები გადაურჩნენ... არც იმის თქმა გვინდა, რომ უარმყოფელს მიმართულებას კარგი არა მოუტანია რა. ბულბულივით უაზრო გალობას პოეზიისას კრიჭა აუჭრა და მადა წაართვა, ავტორიტეტებზედ ბრმად დანდობა საიქიოს გაისტუმრა, ისტორიას, დიდკაცების ცულულტობის მაგიერ, საგნად ერის ყოფა-ცხოვრება მისცა, ყმა ადამიანად აღიარა და განათავისუფლა... ჩვენ იმას ვამბობთ, რომ... მაგ მიმართულებაში ბევრი რამ ისეთი იყო, რომ ჩალასავით ტკაცა-ტკუცით აპილპილდა და გონება-გაუხსნელი ყმაწვილკაცობა წაიტყუა, როგორც ფარვანა ცეცხლმა. მეორე ნაწილმა ყმაწვილკაცობამ კი, უფრო გონება-გახსნალობა, სრულად შეითვისა ყოველივე კეთილი მაგ მიმართულებისა და ზურგი შეუქცია ტყუილ-უბრალო ფრანუების ტკაცა-ტკუცსაო, სწერდა ამაზე შემდეგ ილია ჭავჭავაძე. ნამდვილ ცხოვრების საკითხებისადმი ასეთი მიდგომა, მათი ასეთი გაგება დაედო საძირკვლად მის მსოფლმხედველობას,—მგოსნის და საზოგადო მოღვაწის შემოქმედებრივ მუშაობას.

და როდესაც, კაკოს, პეპიას, გაბროს, ლუარსაბ-დარეჯანის და დათიკოს მხატვრული სახეებით უკვე დატვირთული «თერგდალეული» საქართველოს საზღვრებს უახლოვდებოდა,—მან უკვე იცოდა, რომ «ოთხმა წელიწადმა ჰაბუკის ტეინსა და გულში გამოჰკვანძა ცხოვრების კვირტი», რომ «მას ბეწვის ხიდი ფენთა ქვეშ არ ჩახტყდომია», დრო «რიგიანად მოუხმარია».

აქ გაეკრა უკანასკნელი შალაშინი ილიას პიროვნებას, აქ გამოიკვეთა მისი—ერთგულნი მგოსნის—სახე, რომლის ნოყიერ ნიადაგზე აღმოცენდა და განვითარდა მისი მრავალმხრივი და მრავალფეროვანი მუშაობა საქართველოში. ეს სახე ჯერ კიდევ ცივ



და შორ უცხოეთიდან მოველინა კონტურებში მშობელს ერს, როგორც გამამხნეველები ვიზიონი...

«მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო, ვით ფრინველმა გარეგანმა; არა მარტო ტკბილ სმებისთვის გამომგზავნა ქვეყნად ცაბა.

მეცა მნიშნავს და ერი მზრდის, მიწიერი ზეციერსა; ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარვუძღვე წინა ერსა» ო.

პირველი «გამოცდა» «თერგდალეულმა» მაშინ ჩააბარა, როდესაც თერგი უკან გადმოლახა და პირველად, ოთხი წლის დამორების შემდეგ, სამშობლო ქვეყნის პაერი ისუნთქა...

«იზღერის ბალის» მოტრფიალე რუს ოფიცერის «მეცნიერებას» მხატვარმა დაუპირისპირა ის ცოცხალი სული, ის სიმბოლო ერის მარადიულ არსებობისა, რომელიც «ზორბად მოსულ» მოხვევის სიტყვებში: «ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს» ო ჩაიქედა და «მგზავრის» გულში ისეთი ღრმა სამარე გაითხარა და დაიმარხა;—იმისათვის კიარა, რომ იქ ჩამკვდარიყო, არამედ იმისათვის, რომ სასიცოცხლოდ აღმომსკდარიყო მწერლის შემოქმედებაში «საყვარელ მამულის გამოსაღვიძებლად», «სამშობლოშივე დაკარგულ სამშობლოს» კვლავ საპოვნელად.

ცუდი იყო ის სინამდვილე, რომელიც ილია ჭავჭავაძის საქართველოში დაუხვდა.—წარსულის დავიწყება და აწმყოთი კმაყოფილება, პოლიტიკური ინდიფერენტობა, დამპყრობელ რუს მთავრობის წინაშე ჩინ-ორდენებისათვის მხოლოდ ქართველობა («ნაპოლეონმა გვასწავლეთ») და ბატონ-ყმობის საშინელ უღელს ქვერ ჯერ კიდევ მგმინავი ხალხი, გაუგებრობა, უვიცობა,—ეროვნული ნების და თავმოყვარეობის დაკარგვა—აი რა დაინახა ჩვენმა მწერალმა.

რევოლიუციურ გაბედულებით დაუპირისპირდა ახალმოსული დრო-გადასულ საზოგადოების არსებობას და მის იდეოლოგიას: განახლებულ საქართველოსათვის მებრძოლი შვილი ვერ შეურიგდა ძველის დამცველ მამას. შეშინებულნი დაამშვიოდა: «სიტყვამ რევოლიუცია არ შეგაშინოს, მკითხველო! რევოლიუცია დაწყნარების სათავეა. ესეა ყოველიფერი ამ ქვეყანაზედ:—ღვინო ჯერ უნდა აღუდდეს, დაირიოს და მერ დწმნდება ზღოზე» ო.

«სად არის ქართველი და ქართველობა?»—გამომწვევ გაბედულებით, მაგრამ მწარე გრძობით იკითხა ილიამ და პასუხად «არსაიღამ ხმა, არსით ძახილი» მიიღო. და ამ «ქართველის ძილს», რომელშიდაც «ზოგჯერ ტანჯვით ამოძახილი კვენსა ისმოდა», გამოუცხადა მან შეურიგებელი ბრძოლა. მარტო არ იყო აქ ის, ვინც «მოხვევსა კი მიუხვდა რა ნესტარითაცა იყო ნაჩხვლეთ». მასთან ერთად იყო, —არ ისვენებდა, სწერდა, მოქმედებდა,—მთელი წყობა ახალგაზრდა და ენერგიული ქართველი ინტელიგენტი, რომელიც იმავე შეურიგებლობით ებრძოდა ძველს და მის დამცველ იდეოლოგიას.

(შემდეგი იქნება)

მ.—მე.

ბ. მღვიმანის დასაფლავება

(დასასრული)

ნ. ურუშაძის სიტყვა.

ძვირფასო მეგობარო, ერთგულო ამხანაგო, როგორ მოვიკრიფოთ ღონე, როგორ გამოვნახოთ სიტყვა, როგორ შევანელოთ ჩვენი მწარე და მდულარე გრძობები, რომ შევსძლოთ სათანადოდ გამოხატვა ჩვენი შენდამი სიყვარულის და პატივისცემის?

განა აქ—ამ უცხო მხარეს—უნდა გამოვთხოვბოდით შენ, რომელიც მხოლოდ საქართველოს ფიქრით ცხოვრობდი, რომელიც მარად სულ მის მშვენიერ სახეს ეალერსებოდი და ასე ერთბაშად და უდროოდ გამოგვეცალე ხელიდან და არ გელირსა, ერთხელ კიდევ თვალი გადაგველო მშობელ ადგილებისათვის და ერთხელ კიდევ გეთქვა ერისათვის შენი ტკბილი და გამამხნეველები სიტყვა?

გვაპატიე მოკლე და მკრთალი გამოთქმა...

მთელი 35 წლის განმავლობაში, საქართველოში დასაფლავებისათვის პირველ წლებიდანვე გვერდში უდევდი ერთგულად შენს ტოლმეგობრებს და დაუზარებლად, დაუღალავად მუშაობდი და იბრძოდი ყოველთვის პირველ რიგებში. იყავი პარტიის მთავარ კომიტეტის წევრი და ბათუმის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარე, იყავი უბრალო წევრიც, პროპაგანდისტი, ორგანიზატორი, ორატორი დიდ კრებებსა და მიტინგებზე და პასუხის საგებ დავალებათა შემსრულებელი.

სადაც კი დაგიძახებდა საჭიროება, მყის იქვე გაჩნდებოდი. უძნელეს პირობებში მოახერხებდი გამოსავლის პოვნას. ამხანაგებში თუ რამ უთანხმოება და განსხვავება შეიქნებოდა, მთელს შენს ძალას მიმართავდი მორიგებისათვის. სადაც მიხვიდოდი, მიგქონდა სიმხნევე, ხალისი მოქმედების, სიმტკიცე და იმედი გამარჯვების და არასოდეს დაგიხრია ძირს, არ შევილახავს დროშა, რომელიც ერთხელ აიღე ხელში.

შენ იყავი ერთი საუკეთესო გამომსახველთაგანი ჩვენი პარტიის მოძღვრებისა და მისწრაფების. მაგრამ განა მარტო ამ პარტიულ ერთგულობისა, პარტიულ სახეობისათვის იყავი ჩვენი საყვარელი? არა. შენ არ იყავი პარტიული სექტანტი—პარტიულ ობა შენთვის მეორე ადგილზე იდგა,—პირველობა სამშობლოს ეკუთვნოდა,—ერს. შენ იყავი უწინარესად ქართველი მამულიშვილი, ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით. პარტია გწამდა და გიყვარდა, როგორც გზა და საშუალება სამშობლოს სამსახური-სათვის. ერის განთავისუფლება, აღდგენა, წარმატება,—აი რას უნდა ემსახურებოდეს ყოველი პოლიტიკური ადამიანიო, აი შენი დევიზი. ყველგან და ყოველთვის შენს თვალწინ წარმოგიდგებოდა დამონებული სამშობლო და უფლება აყრილი ერი და ამისკენ იყო მიმართული მთელი შენი არსება. სამშობლოს სიყვარული გწავდა როგორც ცეცხლი-ამან დააუძლურა შენი გული. მაშინ ცოცხლობდი და გაიხარებდი, როცა მშობელ ერზე ფიქრობდი და მისთვის რასმე აკეთებდი. თვით მუდამ გაჭირვებუ-



ლი, მართლ იმით იყავი გატაცებული და მისთვის ზრუნავდი, თუ როგორ და რა ეშველოს გაჭირვებულს საქართველოსო. შენი ბედნიერება იყო მხოლოდ და მხოლოდ ერის ბედნიერება. შენი სიხარული იყო ერის სიხარული, შენი ტკივილი—ერის ტკივილი...

აი ეს შენი ღრმა მამულიშვილობა იყო მიზეზი, რომ შენ ყოველთვის გეხერხებოდა შეთანხმება და თანამშრომლობა—იქ საქართველოში და აქ—უცხოეთში—ყოველ ქართველს დაჯგუფებასთან, როცა ამ თანამშრომლობის მიზანი იყო საქართველოს ნაციონალური ინტერესი. ყოველ ქართველში უპირველესად ქართველს ეძებდი და სადაც მას ჰპოვებდი, შენც მასთან იყავი...

ამიტომაც იყო, რომ შენ შეგეძლო გულითადი მეგობრობა სხვა დაჩაგრულ ერების შვილებთან, რომლებიც დღეს ჩვენსავით იბრძვიან განთავისუფლებისათვის—კავკასიელებთან, უკრაინელებთან, ტურქისტანელებთან. კიდევ მეტი: როგორც მეურვეყველი მებრძოლი საქართველოს სუვერენისათვის შენ აღსავსე იყავი სიყვარულით და პატივისცემით იმ ერებისადმი, რომლებიც წინედ, ვით ჩვენ, დამონებულნი, დღეს კი აღდგენილნი და თავისუფალნი—თანაგრძობით და მეგობრობით ეგებებიან საქართველოს განთავისუფლებისათვის მებრძოლ მამულიშვილებს...

მეგობრობა, გამხანავა! უდროვოდ დაგეტოვებ, დავგაობლე ამ განდობვეწილობის აწინდელ მძიმე პირობებში, როცა საჭიროა კიდევ უფრო მეტი ენერჯია და ძალა ბრძოლისათვის. მაგრამ შენ დაგვიტოვე დიდი ანდერძი: უმსურველესი სიყვარული მშობელი ერის, ურყევი რწმენა გამარჯვების, იმედი და ხალისი ბრძოლის, და გრწამდეს, რომ ჩვენ მარად ერთგულნი ვიქნებით შენი ანდერძის და ჩვენს გულში ანთებულს ცეცხლს დაუქრობლად ჩავიტანთ საქართველოში.

3. ქავთარაძის სიტყვა.

უღმობელი და სასტიკია ღმერთი და თუ რაღაც ძალა, «რომელმაც შექმნა სამყარო», ისე ააწყო წესები, მოგვცა ისეთი წყობა, რომ სიცოცხლეს სიკვდილი მოსდევს, სიტკბოს სიმწარე სცვლის, სიმხიარულეს კი გლოვა და ზარი.

გუშინ კმაყოფილი და მხიარული ვიყავით; ტკბილი და იმედიანი სიმონი ჩვენთან იყო, ჩვენს რიგებს ამავრებდა, გაბნეულ ძალებს თავს უყრიდა; მორიდებულად, მაგრამ ენერჯიულად ებრძოდა მათ, ვინც არ იდგა იქ, სადაც სიმონი სულ და მუდამ სადარაჯოზე იდგა—საქართველოს განმათავისუფლებელი მოძრაობის სადარაჯოზე. ერთად ყოფნა, ერთად დგომა, ერთ წერტილში ცემა—აი მისი ბრძოლის და თავდადების აზრი აქ, ემიგრაციაში. ის ქართულ ძალთა გაერთიანების მოციქული და ადექტი იყო. ამით ცოცხლობდა სიმონი გუშინ!

დღეს კი საუღამოდ დაღუპებული უნდა მივაბაროთ უცხო მიწას და თუმცა გულის ტკივილით, ღრმა მწუხარებით, მაგრამ უღმობელად უნდა დავუმორდეთ მას და ვეწიოთ და ვზილოთ ემიგრანტული

ცხოვრების მძიმე ჰაზანი, სანამ ვინმე ჩვენთაგანის საბედისწერო ზარი არ ჩამოკრავს.

ჩვენი სისიკო აღარ გვყავს, სიკვდილის ცელმა გადასჭრა მისი სასიცოცხლო ძარღვი, დაადუმა მისი გული, რომელიც ათეული წლების მანძილზე ანთებული იყო სიყვარულის ცეცხლით.

მისი სიყვარულის საგანი მისი ქვეყანა, დაჩაგრული სამშობლო იყო, მისი ოცნების და ფიქრის საგანი უფლება აყრილი, ტანჯული ქართველი ხალხი. მშობელი ერის სიხარულს და მწუხარებას ის ფიზიკურად განიცდიდა, ხალხის ჭირვარაში თავის ჭირვარამად მიაჩნდა და მის მაჯისცემას თავის სულის თქმას უფარდებდა.

ყოველთვის აქ თუ იქ სიმონი საქართველოს გუშავი იყო, ის იწვოდა და იფერფლებოდა საქართველოს სიყვარულით, მისი ხალხის ბედით თუ უბედობით და აკი მესამოცე წელზე თავის არსებობისა კიდევ დაიწვა, მისი გული დაიფერფლა და დიდი პატრიოტი, უმწიკვლო ხალხოსანი, გულწრფელი დემოკრატი გავეცალა, გაგვშორდა, მერე რა დროს?

მოსკოვის ვეშაპს ხანა დაღებული აქვს, ყლაპავს და სრესავს თავის შვილებს, სწორედ მათ, ვინც შექმნა მოსკოვის ტირანული ტანტი, გაამაგრა მისი ბოძები, ამოუშენა ქვიტკირი. რწმენით და ენტუზი აზმით გატაცებული მშენებლები მოსკოვის ტანტის გაჟლიტეს, ბოძები ჰქანაობენ, ტანტი ირყევა; უკმაყოფილების და სიძულვილის ზვირთები აგორდა; რა ვითარებაში, საიდან და როგორი უკანასკნელი ტალღა დაეცემა შერყეულ ტანტს—არავინ უწყის, მაგრამ ეს უკანასკნელი ტალღა აგორდება და თან ჩაიტანს უფსკრულში ტერორის და მონობის ტანტს—და საქართველო აღსდგება თავისუფალი, ხალხური, ისეთი როგორიც წარმოედგინა ჩვენ საყვარელ სიმონს, მხნეს, კეთილს და თავდადებულს.

გაერთიანებულ პარტიათა კოლეგიის სახელით ღრმა მწუხარებას ვუცხადებთ მის დაობლებულ და დამწუხრებულ ოჯახს, ღრმა თანაგრძობას სოც. ფედერ., პარტიას, რომლის მხნე ხელმძღვანელი და ერთგული წევრი ის იყო და ქართველ ერს, რომელმაც მასში მოსიყვარულე შვილი დაჰკარგა.

სამწუხაროდ უადგილობისა გამო ვერ ვათავსებთ სხვა სიტყვებს. აღვნიშნავთ მხოლოდ მოკლედ, რომ ბ. შირიაკუბმა (კავკ. კონფედ. საბჭოს სახელით) თავის სიტყვაში სხვათა შორის სთქვა: «ამ დიდმა ქართველმა პატრიოტმა, ფართოდ და ნათელი გონების და მდიდარი გულის პატრონმა, ერთმა პირველთაგანმა შეიგნო კავკასიის ერების ერთობა, მნიშვნელობა და აუცილებლობა მათი შეკავშირებისა, კავკასიის კონფედერაციის მოწყობისა, ხელჩაკიდებულ ბრძოლისა, რათა გაეიმარჯვოთ და მოვიპოვოთ თავისუფლება და დამოუკიდებლობა მთელი კავკასიისა». ა. შულგინმა (კავკ. და უკრ. მეგობრ. კომიტ.) ხაზი გაუსვა ს. მდიგნის მოღვაწეობას დაჩაგრულ ერების დაახლოებისათვის: «მისი მეგობრული ღიმილი, მისი ღრმად კეთილგანწყობილი ბუნება მუდამ მოგვიწვევდა ყველას გაერთიანებისათვის». ბ. შულგინმა დაუმატა, რომ ყველა უკრაინ-



ნელი ისე უყურებდა განსვენებულს, როგორც თავის ერთგულს. გულითადს მეგობარს. აზერბაიჯანის ეროვ. ცენტრის სახელით აბ. ატამალიბეკოვმა ასე დაამთავრა თავისი სიტყვა: «ჩვენს მეზობელ ქართველებთან ერთად მთელი ჩვენი გულით დავტირით ძვირფასი ადამიანის დაკარგვას და ერთად განვაგრძობთ საქმეს, რომელსაც მთელი სიცოცხლე ემსახურებოდა ჩვენი დაუფიწყარი და საყვარელი ამხანაგი». ა. ხატისიანი მოიგონებს განსვენებულთან შეხვედრებს, მის ენერგიულს მუშაობას თავის სამშობლოს და მთელი კავკასიის თავისუფლებისათვის და მხურვალე სამძიმარს უცხადებს განსვენებულის თანამებრძოლთ და ოჯახობას. საფრანგეთის ქართველთა საზოგადოების თავმჯდომარე ვ. ლამბაშიძე გაიხსენებს ს. მდივნის პირველ მოღვაწეობის დროს, როდესაც განსაკუთრებით ძნელი იყო ბრძოლა ქართველი ერის უფლებებისა და ღირსების დასაცავად.

ვარშავიდან გვატყობინებენ, რომ ცნობა სიმონ მდივნის გარდაცვალების შესახებ მოთავსებულა მთელ რიგ პოლონურ გაზეთში, როგორც «პოლსკა ზმროანა», გაზეთა პოლსკა», «კურიერ პოზნანი», «კურიერ ვარშავსკი» და სხ. გარდა ამისა გაზეთ «ა. მ. ც.»-ში მოთავსებულია ნეკროლოგი, ბ. ნ. გოდიაშვილის მიერ. «პრომეთე»-ს საზოგადოებას გადაუწყვეტია მოაწყოს სპეციალური სამგლოვიარო კრება და ჩამოკიდოს ს. მდივნის სურათი «პრომეთე» სკლების ერთ-ერთ ოთახში.

— 22 იანვარს ლევილში ს. მდივნის ოჯახობამ, ახლო მეგობრებმა და ლევილის ქართველებმა თავი მოიყარეს განსვენებულის საფლავთან. ხოლო 23 იანვარს, გარდაცვალებიდან 40 დღის შესრულებისა გამო პარიზში უკრაინელთა ეკლესიაში გადანიშნულ იქნა პანაშვიდი მრავალი ქართველების თანადასწრებით.

წლიური მიმოხილვა

გასულ 1937 წელს შეიძლება სამშვიდობო იმედების სალიკვიდაცია წელიწადი დაერქვას. ვის არ ახსოვს, როგორ თავისუფლად ამოისუნთქა კაცობრიობამ, როცა მას ზავის ხმა მოესმა 9 ნოემბერს 1918 წ., ეს იყო და უნდა იქნეს უკანასკნელი მობრ.— გაიძახოდენ მსოფლიოს ყველა კუთხეში, და თითქო ამ ზრახვათა უზრუნველყოფელი საერთაშორისო საშუალებაც აღმოაჩინეს: ერთა ლიგა. როგორ მწარე დაცინვად გვეჩვენება ეს დღეს! ერთა ლიგა სიკვდილის პირზეა და ომი, რომელიც მას უნდა დაეთურგნა, უკვე სწარმოებს შორეულ აღმოსავლეთში და საცაა საყოველთაო ომად იქცევა, ყოველ შემთხვევაში, ამის შიშს მოუტავს კაცობრიობა.

ჩინეთ-იაპონიის ომს თავის იდეოლოგიაც აქვს, ეს ნათლად გამოსთქვა იაპონიის საშინაო მინისტრმა სუეცუგუმ: ყვითელმა რასამ თავი უნდა დააღწიოს თეთრი რასის ბატონობასაო. გამოდის, ამრიგად, მთელი აზია, სადაც კაცობრიობის ნახევარზე

მეტი ხალხი ბინადრობს, ისტორიის ახალი ფურცლის გადაშლას ლამობს. დღეს ჩინეთი, ხვალ ციმბირი ურალამდე, ხეგ ინდოეთი... ჩვენ ვამბობთ იმ ეროვნულ მისტიკაზე, რომელიც თანდათან ითრევის შორეულ, წინა თუ მახლობელ აზიას, ჩრდილო აფრიკასაც, და საქმე გვაქვს არა მარტო ყვითელ რასასთან, ან კიდევ ერთ და იმავე კულტურულ დონეზედ მდგომ ხალხებთან.

საინტერესოა, რომ რასისტულ იდეოლოგიას ევროპაში ჩაეყარა პირველად საძირკველი, მაშასადამე, თეთრმა რასამ გამოუჭედა ყვითელ რასას თავისი დასაკლავი მახვილი! მაგრამ ეს გარეგნულად გვეჩვენება ასე, ევროპასა და ამერიკაში ბრძოლა არსებითად სოციალ-პოლიტიკურ რეჟიმზე სწარმოებს. დიქტატურის და დემოკრატიის ქვეყნები ერთმანეთს გადაკიდებიან და საომრად ემზადებიან ციებ-ციხელებით. გამწვავება იმ ზომას აღწევს, რომ რეჟიმის კითხვა ლამის სძლევეს რასის კითხვას და ჩნდება სამკუთხე ღერძი: ბერლინი რომი ტოკიო.

ვის ემუქრება ეს თეთრ-ყვითელი ღერძი? ინგლის-ამერიკას-საფრანგეთს, ხოლო ამათ არ შეუქმნიათ ჯერ თავისი ღერძი და ცდილობენ ცალიერი დაპირებებით ფონს გავიდენ იოლად. მათ სცადეს, მართალია, ბრიუსელის კონფერენციებზე ადეღონათ ვაშინგტონში დადებული (1922 წ.) ხელშეკრულების ძალა და მით ჩინეთის ტერიტორიალური ხელუხლებლობა, მაგრამ მას შემდეგ იაპონიამ უკვე ხელში ჩაიგდო ჩინეთის სატახტო ქალაქი და ჩანკაი-შეკის მთავრობა გაუქმებულად გამოაცხადა.

ამრიგად, თითქო მართლდება ის აზრი, რომ კაცობრიობის ბედი წყნარ ოკეანეზედ გადაწყდებაო. ბევრსა ცდილობენ—ამის უარყოფა არ შეიძლება— ინგლისი, ამერიკა და თვითონ იაპონია, რათა თავიდან აიცილინონ ურთიერთ შეტაკება, მაგრამ, რაც უფრო უახლოვდება ჩინეთ-იაპონიის ომი თავის ბუნებრივ ბოლოს—პატარა იაპონიის ვეება ცისქვეშა რესპუბლიკაზე დაპატრონებას—, მით უფრო მეტი ასაფეთქებელი მასალა გროვდება სწორედ ამ შეტაკებისთვის.

ხოლო ცეცხლი რომ მყისვე ევროპასაც მოედება, ეს არავისთვისაა საეჭვო. ჯერ წინდაც იყო ეს მოსალოდნელი, შარშან, მაგალითად, სასწაულით გადარჩა ევროპა ომს, ისპანიის გამო. ესლა, გარდა ისპანიისა, სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპაშიც იშლება ისეთი ვითარება, რომელიც დაშლით ემუქრება ეგრედ წოდებულ მცირე ანტანტას და, შეიძლება, ბალკანეთის ბლოკსაც. დიდ განსაცდელში ვარდება ჩეხოსლოვაკია, ის გარიყულია, და, თუ ვიკისხენებთ, რუმინიაში რეჟიმის შეცვლას, თითქო ხაზიც გაყოლებულია, სადაც უნდა მოხდეს დიდი ისტორიული ამბები.

ლონდონში ჯერ კიდევ არ დაკარგვიათ იმედი დახვევისა. ლორდ ჰალიფაქსის მოგზაურობა გერმანიაში, ინგლის-საფრანგეთის თათბირი ლონდონში, დელბოსის მოგზაურობა ვარშავა ბუქარესტ-ბელგრად-პრალაში უკვე მაჩვენებელია იმის, რომ ზომებს იღებენ, თუმცა საეჭვოა, მიზანს მიაღწიონ. არის ერთი ხელშემშლელი გარემოებაც: საფრანგე-

თის შინაური გართულებანი. ხალხოსნური ფორმ-
ტი, როგორც თანდათან ირკვევა, უფრო მოსკოვის-
თვის გამოდგა ხელსაყრელი, ვინემ პარიზისთვის.
სტალინი ცდილობს საფრანგეთის შიგნიდან აფეთ-
ქებას, რაიცა საგარეო აფეთქებასაც ნიშნავს, ე. ი.
საყოველთაო ომს!

უნდა ითქვას, სტალინი ჯავრს იყრის დღებო-
ხე, რომელმაც ყველა მოკავშირენი მოიარა და მო-
სკოვისკი ზურგი შეაქცია. მართლაც, ლონდონში
სრულიად განზრახ გამოტოვეს საბჭოთა კავშირი,
თათბირის დროს, და მომავალი შეთანხმება მხო-
ლოდ ოთხ დიდ სახელმწიფოზე უნდა გავრცელდეს-
ეს ხომ მუსოლინის ლაზუნგია იმ შესწორებით,
რომ მათ მეზუთეც, პოლონეთი, უნდა დაერთოს.
რაა ამის მიზეზი? საბჭოთა სამხედრო უძღურების
გამოაშკარავება. სტალინის დიქტატურამ თვითონ
მოახდინა ეს დემონსტრაცია საქვეყნოდ, მისმა ტე-
რორმა თვალები აუხილა თვით ვრიოსაც, ესლა არა-
ვის სწამს მოსკოვის ძალა საფრანგეთში.

ვერ აღადგენს საბჭოთა პრესტიჟს «უმაღლეს
საბჭოს» გახსნაც. პირიქით. 12 დეკემბრის «არჩევ-
ნებმა არჩევის აღკრძალვით»—ეს ფრაზა ეკუთვნის
ლონდონის «ტაიმსს»—თვით ურწმუნო თომებიც და-
არწმუნა მთელს მსოფლიოში, რომ ხმელეთის მეექვ-
სედში ყველაფერი უცვლელად რჩება. თვით ის ფა-
ქტიც, რომ სტალინმა არ ისარგებლა თავისი პლე-
ბისციტი და საბჭოთა ოფიციალურ პრეზიდენტო-
ბაზე უარი სთქვა, ამასვე მოწმობს.

სტალინი გრძობს, რომ, თუ საგარეო ომში მას
არ შეუძლია გამარჯვების იმედი იქონიოს, სამაგიე-
როდ ომი რევოლუციურ ატმოსფერას შექმნის მსო-
ფლიოში, და მას ამ დიდ მოძრაობის მეთაურობა
მოუწევს! მეთაურობის რა მოგახსენოთ, მაგრამ სა-
გარეო ომები რომ სამოქალაქო ომებს იწვევს, და
წინაუბრე, ეს ცხადია. 1938 წელს კაცობრიობა მარ-
თელა აღწევს იმ მიჯნას, რომლის იქით იწყება ახალი
ისტორია საუბოლო სოციალ-პოლიტიკურ გარდაქმ-
ნათა ეროვნულ და საერთაშორისო ჩარჩოებში.

რუსთაველის დღეები უცხოეთში

შოთა რუსთაველის იუბილე პოლონეთში.

ვარშავის კალონიის გამგეობის გასული წლის 5
ოქტომბრის სხდომაზე დადგენილ იქნა მოწყობა,
რაც შეიძლება ფართო მასშტაბით საქართველოს
გენიალობის განსახიერების შოთა რუსთაველის და-
ბადების 750 წლის იუბილე და მიეცეს მას დიდი
ეროვნულ-პოლიტიკური ხასიათი. კომიტეტმა და-
ადგინა ამავე მიზნისთვის მოწვეულ იქნეს იუბილე
საორგანიზაციო კრება, რომლის ხელმძღვანელად
გამგეობამ დააკისრა ბ. გ. ნაკაშიძე.

იუბილეს მოწყობა გადაწყდა 11 დეკემბრისთვის
ქალაქ ვარშავის თვითმართველობის დარბაზში.
მთელ რიგ საორგანიზაციო მუშაობასთან ერთად,
იუბილეს წინ უძღვოდა პრესის წარმომადგენლების
მიღება და 3 დეკემბერს პოლონეთის ლიტერატურ-
ის აკადემიაში მოხსენება შოთა რუსთაველზე ბ.

გ. ნაკაშიძისა, რომლის გამოსვლა, უნდა აღინიშ-
ნოს, შედეგრი იყო როგორც ფორმით და ორატო-
რული ნიჭით, აგრედვე შინაარსით. ეს გამოსვლა
სათანადოდ იქნა დაფასებული და მას გამოეხმაურა
მთელი პოლონეთის პრესა.

კრება გახსნა აკადემიის თავმჯდომარემ მცხო-
ვანმა მწერალმა და ცნობილმა მოგზაურმა ვაცლავ
სეროშევსკიმ, რომელიც პირადი მეგობარი იყო ქა-
რთველი ერის ბუმბერაზ მგოსნის აკაკის და ორ-
ჯერ სწვევია საჩხერეში.

ვაცლავ სეროშევსკის მოკლე სიტყვა სავსე იყო
საქართველომადმი განუხანღვრელ სიმპატია-სიყვა-
რულით. ამ უძველეს კულტურულ ერის, საქართვე-
ლოს, სადაც აღმოსავლეთის და დასავლეთის კულ-
ტურა ერთმანეთს ეხეთქებოდა და რომელმაც შექმ-
ნა შესამჩნევი სინტეზი მსოფლიოს ამ ორ კულტურ-
ულში,—ამ ერის უფლებების დაცვა ყოველმა კულტურ-
ულმა ერმა თავის ბრძოლის საგნად უნდა გაიხა-
დოსო, ასე დაასრულა სიტყვა ჩვენმა ძვირფასმა მე-
გობარმა.

საორგანიზაციო კომიტეტის მიერ გამოცემულ
იქნა შოთაზე საგანგებო ბროშურა იუბილეზე სტუ-
მართათვის უფასოდ დასარიგებლად, გამომუშავე-
ბულ იქნა პროგრამა შემდეგი შინაარსით:

I. ჰიმნი პოლონური და ქართული, იუბილეს
გახსნა და შესავალი—სენატორი სტანისლავ სედლე-
ცი, ფილოსოფიურ-რელიგიური მსოფლმხედველო-
ბა შოთა რუსთაველის—არქიმანდრიტი პროფ. გრ.
ფერაძე, შოთა რუსთაველი და საქართველო—გ. ნა-
კაშიძე.

II. დეკლამაცია «ვეფხვის ტყაოსნიდან» ქართუ-
ლად—ვ. უგრეხელიძე, «კვლავ ბუნება აყვავდა» მუ-
სიკა არაყიშვილის—ქართულად, ირენა ლომან-
კევიჩუენა—ოპერის მსახიობი, «ღმერთო ძლიე-
რო» ქართული ოპერა «თამარ ცბიერიდან»—ქა-
რთულად, კაზიმირ ჩეკოტოვსკი ოპერის მსახიო-
ბი, დეკლამაცია—ფრაგმენტები «ვეფხვის ტყაო-
სნიდან» ცნობილი მწერლების იულიან ტუვი-
მის და ლობოდოვსკის თარგმნილი—მსახიობი მა-
რია ვერცინსკა, «ლერწამი ხარ»—მუსიკა შავერზა-
შვილის—ქართულად იანუშ პოპლავსკი ოპერის
მსახიობი, «თავო ჩემო»—არია ქართულ ოპერა «და-
ისიდან»—მუსიკა ფალიაშვილის, ქართულად მარია
კარვოვსკა ოპერის მსახიობი, დუეტი ქართულ ოპე-
რა «აბესალომ და ეთერი»—დან მუსიკა ფალიაშვი-
ლის, ქართულად იანუშ პოპლავსკი და კაზიმირ
ჩეკოტოვსკი; ფორტპიანთან პროფესორი ვლადი-
სლავ ვალენტინოვიჩი.

იუბილე გახსნა 6 საათზე და 30 წუთზე საქარ-
ველოს დიდმა მეგობარმა სენატორმა სტ. სიდლეც-
კიმ—აღმოსავლეთის ინსტიტუტის თავმჯდომარემ
—მოკლე, შინაარსიანი, ჩვენთვის ძვირფასი სიტ-
ყვით, რასაც საზოგადოება მხურვალე ტაშით მიე-
გება. ქალაქის თვითმართველობის დარბაზი სავსე
იყო სტუმრებით. კომიტეტმა წომები მიიღო, რომ
თვითელი სტუმრის სკამზე ბროშურა და პროგრამა
ყოფილიყო უფასოდ, რამაც განსაკუთრებული
შთაბეჭდილება დასტოვა სტუმრებზე. იუბილეს



დაესწრენ ოფიციალური წარმომადგენლები, მხედრობა და სხვადასხვა პოლიტიკურ ლიტერატურულ-სახო დოკუმენტი ორგანიზაციების და პრესის წარმომადგენლები. პროგრამა თავიდან ბოლომდე ჩატარდა იშვიათი ანსახლით და დიდი აღტაცება გამოიწვია მთელ დარბაზში. ყოველ კუთხეში გაისმოდა: ასე შინაარსით და სიმშვენიერით საზოგადოების წინაშე ერის მდიდარი კულტურის გამომოყვანა სწორედ ქართველებს თუ შეეძლოთ...

ვარშავის ქალაქის თავის მოადგილე უხდის რამდენიმე ქართველი კალონის კომიტეტის თავმჯდომარეს ქალაქის თავის სახელით და პირადად, დასძენს: 8 საუკუნის შემდეგ მართლაც ქართველებს თუ შეეძლოთ გადმოგვიჩინათ ჩვენს წინაშე თქვენი ერის ასეთი მდიდარი კულტურა. აღმოსავლეთის ინსტიტუტის გენერალური მდივანი ბ. ბ. ოფსოროვი ოღვერდ გურკა—იუბილეს დასრულებისთანავე ეხვევა კომიტეტის თავმჯდომარეს და ეუბნება: ჩემს კრიტიკას სწორედ ეს ჰქონდა დასახული მიზნად და არა სხვა რამ: სავესბით დაამტკიცეთ, რომ საქართველოს პოლიტიკურ მესვეურთ თამამად შეგიძლიათ შესცუროთ მსოფლიო პოლიტიკის დიდ ტალღებში... კომიტეტის თავმჯდომარესთან ერთად გამოდის ბ. გურკა მასპინძლის როლში და მადლობას უხდის ოფიციალურ პირებს. ცნობილი ყურნალისტი, საქართველოს დიდი გულწრფელი მეგობარი ბ. ი. ოტმარ-ბერსონი, რომელმაც სპეციალური ვრცელი წერილი უძღვნა შოთა რუსთაველს, კოცნის კომიტეტის თავმჯდომარეს და ეუბნება ქართულად: «გაუმარჯოს საქართველოს» და უმატებს პოლონურად: «ჩვენ გავიმარჯვეთ»... (ბ. ი. ოტმარი საქართველოს დამოუკიდებლობის პირველ თვეებში ოფიცრად იყო ქართულ ჯარში—ბორჯომში და მონაწილეა პირველი ხანის ბრძოლების).

კომიტეტმა წერილობითი მადლობა გადაუხა და როგორც ოფიციალურ ლიტერატურულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციულ წრეებს, აგრეთვე პრესას და ყურნალისტებს. მადლობა გადაუხადა აგრეთვე რადიოს დირექტორს ჩვენს მეგობარ ბ. მ. მაიორ კშევსკის, რომელმაც დიდი სამსახური გაგვიწია იუბილეს პროპაგანდის საქმეში და 13 დეკემბერს რადიო დაგვიტოვა საათით—ქართული სალიტერატურო საკონცერტო განყოფილებისთვის. რადიოში შოთაზე მოხსენება გააკეთა ბ. გ. ნაკაშიძემ. წაითხულ იქმნა ნაწყვეტები ვეფხის ტყაოსნიდან და შესრულებული საკონცერტო ნაწილი.

რედაქციამ მიიღო მრავალი ამონაჭერი პოლონურ გაზეთებიდან. მთელ პოლონეთში არ დარჩენილა გაზეთი თუ ყურნალი, განურჩევლად მიმართულებისა, რომ მსურვალედ და ფართოდ არ გამოეხმურებოდა ქართველი ერის დღესასწაულს. ყველა შეეხა საქართველოს მდიდარ ისტორიას და კულტურას, განსაკუთრებით შეჩერდნენ თამარის ეპოქაზე და რუსთაველის უკვდავ ნაწარმოებზე. ბევრმა დაბეჭდა თამარის და შოთას პორტრეტები.

ქართველ ერს არ შეუძლია, არ ჩაიბეჭდოს თავის გულში დიდის მადლობით და ღრმად ესეთი

გულითადი და მეგობრული გამოხმაურება დიდი და კეთილშობილ პოლონელ ერისა.

საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ სამადლობელი წერილები გაუგზავნა აღმოსავლეთის ინსტიტუტის თავმჯდომარეს ბ. სენატორ სტანი-სლავ სედლევსკის და ლიტერატურის აკადემიის თავმჯდომარეს ბ. სენატორ ვაცლავ სეროშევსკის იმ დიდ და დაუფასებელ ღვაწლისათვის, რომელიც აღნიშნულ პირებმა დასდვეს შ. რუსთაველის დღეობის ასე ჩინებულად ჩასატარებლად პოლონეთში.

დიდი მადლობის ღირსნი არიან დაულაღვ მუშაობისათვის დღესასწაულის მოსაწყობად გ. ნაკაშიძე და არქიმანდრიტი გ. ფერაძე.

არმან კარმანიოლა

1 დეკემბერს, რამდენიმე თვის მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, ვარდაიცვალა ქენევაში საქართველოს დიდი მეგობარი, ცნობილი იტალიელი არმან კარმანიოლა.

განსვენებული იყო საქართველოს დამხმარე ინტერნაციონალურ კომიტეტის დამფუძნებელი წევრი და ის არ დაკლვებია არც ერთს კომიტეტის გამართულ მანიფესტაციას. კერძოდ მან აქტიური მონაწილეობა მიიღო 1924 წ. მაისში ქენევის უნივერსიტეტში დიდი მიტინგის გამართვაში, სადაც ილია პარაკეს კარლო ჩხეიძემ, პროფესორებმა მალშმა და მილომ, ჟან მარტენმა და სახელგანთქმულმა ტომამ. მსურვალედ მონაწილეობა მიიღო 1925 წ. შემოდგომაზე ქენევაში «ქართული კვირის» მოწყობაში, რომლის განმავლობაში სხვათა შორის თავმჯდომარის ნ. ყორდანას გამოსვლებს ჰქონდა ადგილი. ასე მოექცა ის 1926 და 1927 წ.წ. დათიკო შარაშიძის და ევგენი გეგუქორის გამოსვლების მომზადებაში. მას შემდეგ ვახდა ის კომიტეტის მთავარ მდივნად და თავის მოვალეობას დიდის ერთგულებით და სიყვარულით ასრულებდა გასულ წლამდის, სანამ დაავადმყოფდებოდა.

საქართველოს წარმომადგენელმა ხ. შავიშვილმა სათანადო სამძიმრის წერილით მიმართა მის ოჯახობას და პირადად დაესწრო დაკრძალვას. თავისი მხრით ინტერნაციონალურმა კომიტეტმა მწუხარება გამოსთქვა გაზეთებში და მის წარმომადგენლად განსვენებას თავმჯდომარე მალში დაესწრო. კუბოს ამკობდა გვირგვინი ქართული დროშის ფერადზე წარწერით: «საქართველოს დამხმარე ინტერნაციონალური კომიტეტი არმან კარმანიოლას».

ლიტერატურული პიკეტი

ყურნალ «სამშობლო»-ს რედაქციამ მიიღო ბ. ნ. ბაგრატი მხმარაძისაგან, ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან ასი წლის თავის აღსანიშნავად 700 ფრ. «სამშობლო» რედაქციამ მასთან შეთანხმებით ამ თანხიდან დანიშნა ორი ჯილდო: 1) ილია ჭავჭავაძის საუკეთესო ლექსის დამწერს—200 ფრ. 2) ქართული ცხოვრებიდან დრამატიკული ან ბელეტრისტული საუკეთესო მხატვრული ნაწარმოების დამწერს ხუ-

თასი ფრ. ლექსი უნდა იყოს არა ნაკლებ 25 ტაეპისა და მხატვრული ნაწარმოები არა ნაკლებ 20 გვერდისა, და წარმოდგენილი უნდა იქმნეს 1 მაისამდე.

ორთაში უნდა გადმოიფხვან «სამშობლო» სრულქცის: ბ ნ პატარიძის, 89 რიუ დე ლა რეპუბლიკი, სენტ მანდ (სეინ) ან «დამ. საქარ.» რედაქციას. მიღებული საკონკურსო მასალები გადაეცემა განსახილველად ილია ჭავჭავაძის საიუბილეო კომისიას. რომელსაც დაემატება ამ მიზნისათვის «სამშობ.» რედ. ერთი წარმომადგენელი. ლექსის და მხატვრული ნაწარმ. გამოქვ. უფლებას იტოვებს «სამშ.» რედ.

ქართველები საზრანგეთში

გასული წლის ბოლოს მოხდა ქლექით ავთმყოფთა დამხმარე კომიტეტის დამატებითი წევრების არჩევნები. აირჩიეს: ბ ნ სვ. ციციშვილი, ნ. იმნაიშვილი, ნ. ზურაბიშვილი, პატარიძე; ქ-ბნ. ვ. ფალავა, თ. ჯაფარიძე, გედევანიშვილი. კომიტეტმა დაადგინა მომავალი წლის 5 მარტს გამართოს ბალი ლიტერატურულ-მუსიკალური განყოფილებით.

კომიტეტი აუწყებს ქართველ კალონიას, რომ მან შემოიღო მორიგობა, რომელიც მიაწოდებს ავადმყოფებს საჭირო ცნობებს ექიმების და საავადმყოფოების შესახებ. მორიგობა იქნება ოფისში, 38, ქუჩა ბუალო, მეტრო მოლიტორი, 6-7 საათამდე სამშაბათობით და შაბათობით. სამშაბათობით მორიგობს ქ-ნი ზურაბიშვილისა ან ქ-ნი გოგოლაშვილისა. შაბათობით—ქ-ნი ელმი. კომიტეტი სთხოვს ყველას, მიაწოდონ მას ნახმარი ტანისამოსი, ფეხსაცმელები და საცვლები. საჭიროება დიდია და კომიტეტს არ აქვს საშვალეობა მისი შექმნის.

— 23 იანვარს პარიზში უკრაინელთა ეკლესიაში გადახდილ იქმნა პანაშვიდი საქარ-ში ბოლო დროს დახვრეტლ მამულიშვილთა მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრო დიდალი ქართველობა.

ქართველები საბერძნეთში

თურქეთიდან გადმოსახლებულ ქართველთა შორის აქ დაგრჩით ჯერ ჯერობით დ. მაჭავარიანი, ს. ინასარიძე ოჯახით და ამ წერილის ავტორი. ჩვენი ბედი სავსებით გადაწყვეტილი არ არის. არ ვიცით, მოგვეცემენ ვიზებს და მიგვიღებს სხვა ვისმე, თუ საბოლოოდ აქ მოვეწყობით. გარდა სკანდინავიის სახელმწიფოებისა არავინ ვიზები არ გაიღო. სკანდინავიაში,—ნორვეგიაში მოეწყო ვ. გორდელაძე ოჯახით, ხლო შვეციაში ვ. ქავთარაძე ოჯახით და ნ. მახარაშვილი. შვეციამ განსაკუთრებული ყურადღებით მიიღო ჩაგრული ემიგრანტები და მათი მოვლა-მოწყობის საქმე დიდის სიუხვით იკისრა. საქირად ვსთვლით აღვნიშნოთ, რომ ვ. ქავთარაძემ დიდი უნარი და საქმიანობა გამოიჩინა. მან შესძლო სულ მოკლე ხნის ვადაში დაემსახურებია, როგორც შვეციის მთავრობის, აგრედვე სავაჭრო ფირმების ნდობა და ათიოდე თვის შემდეგ აქედან წასვლისა კვლავ მოგვევლინა აქ აღსუბილი საქირად

საბუთებით, როგორც წარმომადგენელი იქაური ფირმებისა და რაოდენადმე თვით მთავრობისაც. მან უკვე შეკრა აქ რამდენიმე სავაჭრო ხელშეკრულობა და გაბრუნდა შვეციაში საქმეების სახლო მოსათაველად. დიდ მადლობას ვუძღვნით მას იმ მატერიალურ და მორალურ დახმარებისათვის, რომელიც აღმოუჩინა აქ მყოფ უმუშევარ და გაქვირებულ ქართველებს და რომელთა იმედები ბევრით არის დაკავშირებული მის მომავალ საქმიანობაზე. ვალ. მგა—შვილი.

ქართველები პოლონეთში

1937 წლის 3 ოქტომბერს მოწვეულ იქნა პოლონეთში ქართველი კალონიის წლიური საზოგადოება. კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ბ. ალ. გოძიაშვილი, მდივანად ბ. გრ. ორაგველიძე, პრეზიდენტის წევრებად ბ. რ. ყაზბეგი და პოლკ. ვ. ერისთავი. წესდების გადასინჯვის, ანგარიშების განხილვის და დამტკიცების შემდეგ არჩეულ იქმნა ახალი გამგეობა შემდეგი შემადგენლობით: კ. იმნაძე, გ. ნაკაშიძე, დ. ვაჩხაძე, მ. ცოტაძე და ნ. ბაგრატიონი.

ამვე წლის 5 ოქტომბერს მოწვეულ იქნა ახალი გამგეობის პირველი სხდომა, რომელზედაც პრეზიდენტში ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: კომიტეტის თავმჯდომარე კ. იმნაძე, თავმჯდომარის მოადგილე გ. ნაკაშიძე, წევრი დ. ვაჩხაძე, ხაზინადარი ნ. ბაგრატიონი, მდივანი მარიამ ცოტაძე.

წვილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ, თქვენი გახეთის მორიგ ნომერში 1937 წელს გამართულ შობის ხის ანგარიში მოათავსოთ.

- შემოსავალი 4.247 ფრ. 70 ს.
- გასავალი 3.200 ფრ. 45 ს.
- დარჩა 1.047 ფრ. 25 ს.

დიდ მადლობას ვუძღვნით ქვემო დასახელებულ პირთ, რომელთაც შობის ხის მოსაწყობად თავიანთი წვლილი გაიღეს:

- 500 ფრ. ქ-ნ ელენე აფხაზისამ.
- 100 ფრ. ქ-ნ მარიამ ვაჩხაძის ას. კოსტისამ.
- 100 ფრ. ბ-ნ ვასილ დუმბაძემ.
- 50 ფრ. ქ-ნ ელიკო წერეთლის ას. დემოლუსამ.
- 50 ფრ. ქ-ნ ც. ვაჩხაძის ას. ლაკარერამ.
- 50 ფრ. ბ-ნ ზურაბ ავალიშვილმა.
- 30 ფრ. ბ-ნ ჯაბა საბულიანამ.
- 25 ფრ. ბ-ნ გიორგი ერაძემ.
- 20 ფრ. ქ-ნ თამარ ერისთავმა.
- 20 ფრ. ელ. ვაბაშვილისამ.
- 20 ფრ. ირაკლი მუსრან ბატონმა.
- 20 ფრ. ქ-ნ ბერტომ.

შვიდი თევში ქართული ანდაზებით წარწერილი ბ-ნ ნიკო სიღამონ-ერისთავმა.

დიდ მადლობას ვუძღვნით აგრეთვე იმ პირთ, რომელნიც პირადი მონაწილეობით დაგვეხმარენ შობის ხის გამართვაში.

ქართული კვნა.